215.000 ტონა ჩაისათვის

სექტემბერი ჩაის კრეფის გადამწყვეტი თვეა

მხარს უჭერენ წალენჯიხელთა თაოსნობას

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 სექტემბერი ხუთშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი

№ 208 (14204)

აჭარელი მეჩაიეები სიტყვას არ გატეხენ

◆

საუბარი საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. ა. თხილაიშვილთან.

◆

— წელს მეჩაიეობის რაიონებში მეტად არახელსაყრელი ამინდი იყო. ამან დიდად შეაფერხა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია, — განაცხადა „კომუნისტის" რედაქციის თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. თხილაიშვილმა. მაგრამ მეჩაიეებს ფარხმალი არ დაუყრიათ. სრულყოფილად გამოიყენეს არსებული რეზერვები, შეძენილი გამოცდილება, თავდადებულად იშრომეს და წარმატებებსაც აღწიეს.

აჭარელი მეჩაიეები მოწონებით შეხვდნენ წალენჯიხელთა თაოსნობას, რომ სექტემბერი გამოცხადებულ იქნას დამკვრელურ დღეებად, რათა სასახელოდ შესრულდეს ხარისხოვანი ჩაის კრეფის გეგმაც, ვალდებულებაც!

ამას წინათ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტმა განიხილა საკითხი თუ როგორ ასრულებენ მეჩაიეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციები ავანგარდულ როლს ჩაის კრეფის დარგში ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, საოლქო კომიტეტმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა კრეფის ტემპის დაჩქარებისათვის. ამ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას მიეძღვნა 2 სექტემბერს გამართული თათბირი ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში. აქ მეჩაიეებმა პირობა დადეს, რომ სიტყვას არ გატეხენ და ვადამდე შეასრულებენ ჩაის კრეფის წლიურ გეგმას, რომელიც 33.030 ტონას ითვალისწინებს, ხოლო სეზონის დამთავრებამდე გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემენ 1.000 ტონა ჩაის ნედლეულს.

დღითიდღე ძლიერდება ჩაის კრეფის ტემპი. 4 სექტემბრისათვის აჭარაში მოკრეფილი იყო 29.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური დავალების 88,8 პროცენტს აღემატება. კარგი მაჩვენებლები აქვთ ბათუმის რაიონის მეჩაიეებს, რომლებმაც უკვე მოკრიფეს 8.120 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ წლიური გეგმის 93,8 პროცენტი. ბათუმელები პირობას იძლევიან წლიური გეგმა 15 სექტემბრისათვის შეასრულონ, ხოლო ვალდებულება 30 სექტემბრისათვის. ისინი წელს გეგმის გადამეტებით მოკრეფენ 400 ტონაზე მეტ ჩაის ნედლეულს.

დიდი შრომითი აღმავლობაა ქობულეთის რაიონის ჩაის პლანტაციებში. მეჩაიეები გარიჟრაჟიდან გვიან ღამემდე არ წყვეტენ კრეფის სამუშაოებს. მათ კარგად იციან, რომ აჭარაში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულებაში გადამწყვეტი სიტყვა ქობულეთელებს ეკუთვნით. ქობულეთელებმა უკვე მოკრიფეს 20.774 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 23.871 ტონისა. ეს წლიური გეგმის 87 პროცენტს შეადგენს. ქობულეთელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 600 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო".

ახლა აჭარის მეჩაიეობის რაიონების პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები ენერგიას არ იშურებენ იმისათვის, რომ თვითეული საათი მაქსიმალურად გამოიყენონ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის.

მთელი ძალები ჩაის ფრონტზე! არცერთი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დანაკარგი! რაოდენობაც, ხარისხიც! ვადამდე შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი! ამ დევიზით იბრძვიან აჭარელი მეჩაიეები, რომელთა მუშაობას უნარიანად წარმართავენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები.

აჭარის ასსრ

☐ აჭარელმა მეჩაიეებმა წლიური გეგმით უნდა მოკრიფონ 33.030 ტონა ჩაის ფოთოლი. 4 სექტემბრისათვის მოკრეფილია 29.400 ტონა, ანუ წლიური გეგმის 88,8 პროცენტი.

☐ *აჭარელი მეჩაიეები პირობას იძლევიან გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცენ 1.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.*

გამარჯვებული

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებს აღწევს ტრესტ „საქსანტექმონტაჟის" (მმართველი გ. პეტრიაშვილი, გაერთიანებული სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ამაშუკელი) ახალგაზრდა კოლექტივი.

ამჟამად ტრესტში 6 სამონტაჟო-სამმართველო და 3 სამონტაჟო უბანი შედის, რომლებიც საქართველოს ყველა კუთხეში 120 ობიექტზე აწარმოებენ სანტექნიკურ სამუშაოებს.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის ეს ტრესტი დაჯილდოვდა სსრკ სპეციალური სამუშაოთა სამონტაჟო-სამშენებლო სამინისტროსა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით.

გორელ მეკონსერვეთა კასუხად

ზრუნავენ პროდუქციის ხარისხზე

ხობი. (საკ. კორ.). ხუთწლედის მესამე წელს გამართულად მუშაობს ხობის საკონსერვო ქარხანა (დირექტორი ჯ. ცხადაია), რომელიც ახალ სეზონს მომზადებული შეხვდა.

გასულ წელს ქარხანამ მხოლოდ 705 ათასი პირობითი ქილა კონსერვი გამოუშვა. მიმდინარე წლის 20 აგვისტოსათვის კი ამ ციფრს უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა. მუყაითმა მეკონსერვეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. აქაური კონსერვების გემო მოსწონთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის მშრომელთ. ამიტომ მეკონსერვეებმა მიზნად დაისახეს დაიცვან ქარხნის ღირსება, გემოსთან ერთად დიდი ყურადღება მიაქციონ ხარისხს. ფართოდ გაშალეს შიდასაქარხნო სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ წლის ბოლომდე სამშობლოს გაუგზავნონ მხოლოდ უმაღლესი ხარისხის მილიონ 600 ათასი პირობითი ქილა კონსერვი.

ქარხნის კოლექტივმა ერთხმად დაუჭირა მხარი გორელ მეკონსერვეთა ინიციატივას და ხუთწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გეგეჭკორელი თანამოსაქმეები.

მეკონსერვეთა ვალდებულების ოქმში აღნიშნულია: მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს; გამოშვებული პროდუქცია იქნება მხოლოდ მაღალი ხარისხისა, მსოფლიო სტანდარტის დონეზე. ფართოდ დავნერგავთ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას. მთლიანად გამოვიყენებთ წარმოებაში არსებულ რეზერვებს, პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ 25 ათასი მანეთით, ალმოვფხვრით მანქანა-დანადგარების მოცდენის შემთხვევებს, უზრუნველვყოფთ წარმოების ყველა რგოლის რიტმულ მუშაობას. საუკეთესო ბრიგადისათვის შემოვიღებთ „უწუნოდ მომუშავე ბრიგადის" საპატიო წოდებას. მკვეთრად ავამაღლებთ წარმოების კულტურას.

მეკონსერვეები უკვე შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას.

ხუთწლედი — ვადამდე!

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს აღწევენ ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეჩაიეები. ამ შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს პირველი ბრიგადის მეჩაიეებმა, რომელსაც შ. შაქარაშვილი ხელმძღვანელობს. წელს ამ ბრიგადას წლიური გეგმით უნდა მოეკრიფა 170 ტონა ჩაის ფოთოლი, 30 აგვისტოსათვის მოკრეფილი ჰქონდა 173 ტონა. ახლა მეჩაიეები იბრძვიან ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის, მათი გადაწყვეტილებაა წლიური გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 30.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული.

სურათზე: სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის ბრიგადირი შ. შაქარაშვილი (შუაში). მოწინავე მკრეფავები თინა ჯაიანი და ეთერ კაკალაძე ამოწმებენ მოკრეფილი ჩაის ხარისხს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ი. ცედენბალს

3 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ცედენბალი, რომელიც მოსკოვში იმყოფება.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევსა და ამხ. ი. ცედენბალს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების და განმტკიცების საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთი პრობლემა. მოლაპარაკების დროს დადასტურდა, რომ მხარეები ყველა განხილულ საკითხზე სავსებით ერთნაირი შეხედულებისა არიან.

საუბარმა ძმურ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

„ლენინი და სიმბირსკი"

ამ წიგნში, რომელიც ვოლგისპირეთის წიგნის გამომცემლობის ულიანოვსკის განყოფილებამ გამოუშვა, თავმოყრილია ვ. ი. ლენინის დოკუმენტები, მასალები, რომლებიც ასახავენ ბელადის ცხოვრების სიმბირსკის პერიოდს. წიგნში დაბეჭდილია წერილები, დეპეშები, სიმბირსკისა და გუბერნიის მშრომელთა მისალმება ილიჩისადმი, მოგონებანი ვ. ი. ლენინზე.

დიდ ინტერესს იწვევს ვრცელი დანართი: სიმბირსკის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს რეგისტრაციის ჟურნალის ამონაწერი ვ. ი. ლენინისადმი ფარული მეთვალყურეობის დანიშვნის შესახებ, ულიანოვების საოჯახო ბიბლიოთეკის სრული ნუსხა და ბევრი სხვა დოკუმენტი, რომელთა უმრავლესობა პირველად იბეჭდება. (საკდესის კორ.).

როგორ სრულდება ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

ქობულეთი

გეგმა	შესრულება	პროცენტი
23.871 ტონა	20.774 ტონა	87

ბათუმი

გეგმა	შესრულება	პროცენტი
8.659	8.120	93.8

ნ. ბარათაშვილის იუბილეს გამო

ერევანი, 3 სექტემბერი. (საკდესი). სომხეთის მშრომელები ემზადებიან დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად. დღეს სახელმწიფო გამომცემლობა „ჰაიასტანმა" („სომხეთი") სომხურ ენაზე გამოუშვა პოეტის კრებული. კრებულში შევიდა 27 ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა".

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება დიდად პოპულარულია სომეხ მკითხველთა შორის. პირველად „მერანი" სომხურად ითარგმნა 1893 წელს. მას შემდეგ ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები არაერთხელ უთარგმნიათ და გამოუციათ სომხურად. 1946 წელს გამოვიდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების წიგნი, რომელიც თარგმნა პოეტმა და დრამატურგმა სურენ ავჩიანმა.

საიუბილეო კრებულის თარგმნა ეკუთვნის სომეხ პოეტს ოვანეს კარაიანს. წინასიტყვაობა დაწერა ცნობილმა სომეხმა პოეტმა გეღამ სარიანმა.

ფიზიკოსთა კონფერენცია

ტომსკი. (საკდესის კორ.). 3 სექტემბერს ტომსკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიხსნა ელექტრონების აჩქარების ფიზიკისა და ტექნიკის პრობლემებისადმი მიძღვნილი უმაღლეს სასწავლებელთა მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია. ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერთა ნაშრომები ამ დარგში ფართოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. მათ შექმნეს სხვადასხვა ენერგიის დამუხტული ნაწილაკების ამჩქარებელთა მთელი „ოჯახი".

კონფერენციაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, საქართველოს, სომხეთის, თათრეთის უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების, ჩვენი ქვეყნის ბევრი სამეცნიერო ცენტრის წარმომადგენლები.

გადააყენეს ო. შიკი

პრაღა, 4 სექტემბერი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს, რომ ო. შიკი, რომელიც ბელგრადში იმყოფება, გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

როგორც ცნობილია, ო. შიკი ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა იყო მემარჯვენე რევიზიონისტულ ძალებში, რომლებიც მიემხრნენ კონტრრევოლუციას. თავის მრავალ გამოსვლაში იგი ურცხვად სწამებდა ცილს ჩეხოსლოვაკიის განვითარების სოციალისტურ გზას და აყენებდა თავის ეგრეთწოდებულ „ახალ ეკონომიურ მოდელს", რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ნიშნავდა ჩეხოსლოვაკიის დაბრუნებას კაპიტალიზმის გზაზე და მის დამოკიდებულებას იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე. შიკის „მოდელირება", რაც იყო ბურჟუაზიული თეორიების ნარევი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა კლასს უქადდა მხოლოდ უმუშევრობას, ცხოვრების დონის დაქვეითებასა და უცხოეთის მონოპოლიათა შეღწევას ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ ეკონომიკაში.

რამდენიმე ხანია ო. შიკი ი. გაექთან ერთად დასახლდა ბელგრადში, სადაც მათ გამოაცხადეს რაღაც დროებითი კომიტეტის შექმნა, რომელიც მზად იყო ეკისრა „ემიგრანტული მთავრობის" ფუნქციები. ეს გეგმები საპნის ბუშტივით გასკდა და ო. შიკი პოლიტიკურად გაკოტრდა.

მორიგი ოფიციალური საუბარი

პარიზი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს საერთაშორისო კონფერენციათა სახლში გაიმართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და შეერთებული შტატების წარმომადგენელთა მორიგი ოფიციალური საუბარი.

მასობრივი დაპატიმრებანი

ნიუ-იორკი, 4 სექტემბერი. (საკდესი). 653 კაცი დააპატიმრეს სამ დღეში ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციების დროს, რომლებიც გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობის მუშაობისას ჩიკაგოში. ამას იუწყება ჩიკაგოს პოლიციის სამმართველო.

მდგომარეობა ბრაზავილში

ბრაზავილი, 4 სექტემბერი. (საკდესი). დღეს კონგოს საინფორმაციო სააგენტომ გამოაცხადა, რომ ორგანიზაციის „ეროვნული რევოლუციური მოძრაობის ახალგაზრდობა", კონგოს ქალთა რევოლუციური კავშირისა და კონგოს პროფკავშირთა კონფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოები დაითხოვეს ზუსტად ისევე, როგორც მათი ადგილობრივი წარმომადგენლობანი. გადაწყვეტილება ამის თაობაზე მიიღო რევოლუციის ეროვნული საბჭოს დირექტორიის თავმჯდომარემ კაპიტანმა ნგუაბიმ.

პარიზი, 4 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ბრაზავილის კონგოს პრეზიდენტი ალფონს მასამბა-დება თავისი ოჯახის წევრებთან ერთად დაბრუნდა პრეზიდენტის სასახლეში, ბრაზავილში. ამას იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კინშასელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს კარგად ინფორმირებულ დიპლომატიური წყაროებიდან მიღებულ ცნობებს.

იმავე წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ნათქვამია ინფორმაციაში, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი მიშელ ბინდი და ყოფილი ინფორმაციის მინისტრი ანდრე ომბესა დააპატიმრეს. მათ ბრალად ედებათ, რომ აგვისტოს დამდეგს ბრძანება გაუციათ იმ პირებისათვის იარაღის დარიგების შესახებ, რომლებიც არ არიან წესრიგის დაცვის სამსახურის მუშაკები.



მეჩაიეებო, ჩვენი რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს აუცილებლად შესრულდეს ჩაის კრეფის ვალდებულება!

გახსოვდეთ: თქვენს მიერ მოკრეფილი თვითეული კილოგრამი ჩაი აჩქარებს ამ პატრიოტული ამოცანის გადაწყვეტას.

გეგმა, ვალდებულება კანონია!

მეტი ყურადღება პროდუქციის ხარისხს

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოისმინა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის ანგარიში იმის შესახებ, თუ რა მუშაობა გასწია იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი კონტროლის ორგანიზაციისათვის, რომელთა მიზანია საწარმოს მიერ გამოშვებული ავტომობილების სათადარიგო ნაწილების ხარისხის გაუმჯობესება.

ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით და „კომკავშირულ პროჟექტორთან" მჭიდრო კონტაქტით თავის მუშაობას წარმართავს გეგმით, რომელშიც გათვალისწინებულია მასობრივი დათვალიერებების, რეიდების, შემოწმებისა და რევიზიების მოწყობა ფართო აქტივის მონაწილეობით. ქარხნის ჯგუფის წევრები გაერთიანებული არიან 7 სექტორში (კომისიაში), მათ შორის პროდუქციის ხარისხის სექტორში.

ქარხნის ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს წარმოების კულტურისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვის საკითხებს, დროულად ეხმაურება ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვების ფაქტებს, ქმნის საზოგადოებრივ აზრს ამის შესახებ და აღმოფხვრის მიზეზებს, რომლებიც იწვევენ წუნს.

ამ საქმეში დიდ როლს ასრულებენ სახალხო კონტროლის ფურცელი, ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი, რომლის ფურცლებზე რეგულარულად შუქდება სახალხო კონტროლიორთა საქმიანობა, სტენდი „სახალხო კონტროლი". ბევრი სახალხო კონტროლიორი ტექნიკური სიახლეებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის ინიციატორია.

დასახული ამოცანების გადაწყვეტასა და განხორციელებაში ქარხნის ჯგუფს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს სახალხო კონტროლის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი.

სახალხო კონტროლიორთა მუშაობის აქტივიზაციამ, ქარხნის დირექციის დროულად გამოხმაურებამ მათს სიგნალებსა და წინადადებებზე ბევრად შეუწყო ხელი ქარხანაში წუნის შემცირებას, ავტომობილების სათადარიგო ნაწილების ხარისხზე რეკლამაციების შემცირებას. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში დანაკარგები წუნის გამო პროდუქციის თვითღირებულების 0,69 პროცენტამდე შემცირდა გასული წლის შესაბამისი პერიოდის 0,89 პროცენტთან შედარებით, ხოლო რეკლამაციები — 10 პროცენტამდე 1967 წლის 27 პროცენტთან შედარებით.

ამასთან ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გამოშვებისა და მიწოდების საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. მაგალითად, 1968 წლის შვიდი თვის მანძილზე ქარხანამ ვერ გამოუშვა 1.716 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილები, როცა მთელი სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადამეტებით შესრულდა. ავტომობილების სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმების შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზები იყო მუშახელით მექანიკური და სამჭედლო საამქროების მთელი რიგი უბნების დაუკომპლექტებლობა, შრომის ცუდი ორგანიზაცია და სამუშაო დროის დიდი დანაკარგები. მაგალითად, შასის საამქროში, ნახევარღერძების და მოტორების საამქროში ცილინდრების ბლოკების უბნები მხოლოდ სანახევროდ არის დაკომპლექტებული, აღჭურვილი არ არის საჭირო ასაწევ-მოძრავი საშუალებებით. სამჭედლოს საამქროში აკლიათ მუშების 12-მდე პროცენტი.

ამასთან ამ საამქროებს რიტმულად არ უზრუნველყოფენ სხმულით, ტვიფრებით, არის სხვა ორგანიზაციული უწესივრობაც. ამის გამო სამუშაო დროის დანაკარგები 10-14 პროცენტს აღწევს.

რადგან დაწესებული არ არის ოსტატების, ტექნოლოგებისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკთა სათანადო კონტროლი, ზოგიერთი მუშა ოპერაციების შესრულებისას არ იცავს დადგენილ ტექნოლოგიას. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შემოწმებული ტექნოლოგიური ოპერაციებიდან ტექნოლოგიის დარღვევით შესრულდა: მექანიკურ საამქროებში — 9,8 პროცენტი, ხოლო მეტალურგიულ საამქროებში — 10 პროცენტი ოპერაცია.

სპეციალური ტარის უქმარობის გამო უზრუნველყოფილი არ არის საამქროებიდან საწყობებში მზა დეტალების საიმედო ტრანსპორტირება, რის გამოც არის შემთხვევები, რომ უარესდება ამ დეტალების ხარისხი, იკაწრება და იფხაჭნება. სატარე ხე-ტყის მასალების შემოზიდვის არადამაკმაყოფილებელი მოწყობის გამო ირღვევა ავტომობილის სათადარიგო ნაწილების შეფუთვის ნორმები.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სახალხო კონტროლის საქარხნო ჯგუფი ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ მუშაობს ქარხნის მთელი რიგი საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელობის საკითხებზე. ყველაზე ჩამორჩენილ საწარმოო უბნებზე სახალხო კონტროლის საგუშაგოები უმოქმედოდ არიან, ხოლო გადაცემათა კოლოფის საამქროში, რომელიც უკვე სამ თვეზე მეტია მუშაობს, ჯერ კიდევ არ შექმნილა სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები.

მოტორების, შასისა და სამჭედლო საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები სუსტად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, ქარხნის ჯგუფი კი ნაკლებად ეხმარება მათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

ქარხნის დირექცია ნაკლებ ყურადღებას უთმობს თავისი ფილიალის — აბაშის მექანიკური ქარხნის მუშაობას. ეს ობიექტი, რომელიც მნიშვნელოვანი რგოლია ავტომობილის სათადარიგო ნაწილების გამოშვებაში, უზრუნველყოფილი არ არის ტვიფრებით, დაკომპლექტებული არ არის კვალიფიციური მუშებით, რის შედეგადაც ავტომობილის სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმის შესრულება აქ 70 პროცენტზე ნაკლებია. ასეთი მდგომარეობის დროს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლიორები არ ახორციელებენ ერთობლივ ღონისძიებებს აბაშის მექანიკური ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფთან ერთად.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფს დაავალა გააძლიეროს მუშაობა იმისათვის, რომ კონტროლი ეწეოდეს ავტომობილის სათადარიგო ნაწილების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმას, რომ გააუმჯობესონ მუშაობა მოტორების, შასისა და სამჭედლო საამქროების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა, აგრეთვე გასაღების განყოფილებამ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცების საქმეში, აღკვეთონ ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის ფაქტები, არ დაუშვან ტრანსპორტირების, შენახვისა და შეფუთვის დროს მზა ნაწარმის გაფუჭება; შეავსონ იმ საწარმოო უბნების სახალხო კონტროლის საგუშაგოების შემადგენლობა და გააძლიერონ მუშაობა, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ.

საქარხნო ჯგუფს წინადადება მიეცა მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს აბაშის მექანიკური ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფთან და განახორციელოს ერთობლივი ღონისძიებანი იმისათვის, რომ ეფექტიანი კონტროლი გაუწიოს ავტომობილის სათადარიგო ნაწილების გამოშვებასა და ხარისხს.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა დაავალა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელობას ამაღლოს საამქროებისა და უბნების ხელმძღვანელთა, მთავარი ტექნოლოგის და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაკების პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისათვის და მკაცრად დასაჯოს ის პირნი, რომლებიც არღვევენ დადგენილ ტექნოლოგიურ პროცესებს, გააძლიეროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების მუშაობა, შეიმუშაოს ყველაზე მძიმე და შრომატევადი ოპერაციების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებანი, რათა გამოიყენონ ხე-ტყის მასალის ფონდები და დაამზადონ ტარა ავტომობილის სათადარიგო ნაწილების ტრანსპორტირებისათვის, გააუმჯობესოს აბაშის მექანიკური ქარხნის ხელმძღვანელობა და უზრუნველყოს მისი შეუფერხებელი მომარაგება ტვიფრებითა და ლითონით.

სახალხო კონტროლის აბაშის რაიონულ კომიტეტს წინადადება მიეცა გააძლიეროს აბაშის მექანიკური ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის ხელმძღვანელობა და გაუწიოს პრაქტიკული დახმარება საწარმოო გეგმების შესრულების ქმედითი შემოწმების მოწყობასა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებაში. (საქდესი).

სამხრეთ ოსეთის ინტელიგენციის ყრილობა

ცხინვალი, 4 სექტემბერი. (საქდესის კორ.). რევოლუციამდელ სამხრეთ ოსეთს უწოდებდნენ უინტელიგენციო მხარეს, აქ ერთი მასწავლებელი მოდიოდა 1.500 კაცზე, ერთი ექიმი — ათიათასობით კაცზე. უზარმაზარი ცვლილებები მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში რუსეთის ყოფილ უმეცრულ და ჩამორჩენილ განაპირა მხარეში. ეს ცხადყო დღეს აქ გამართულმა სამხრეთ ოსეთის ინტელიგენციის ყრილობამ. ახლა ავტონომიურ ოლქში მუშაობს ორი ათასამდე მასწავლებელი — 4-ჯერ მეტი, ვიდრე მოსწავლე იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ამ მთიან მხარეში ყოველი მესამე მცხოვრები ინჟინერი ან ტექნიკოსია, ყოველი მეორასე ექიმი ან მედიცინის მუშაკი.

ყრილობაზე გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, თუ რა აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი ინტელიგენცია ოლქის საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქ 2 სექტემბერს სწავლა დაიწყო 23 ათასმა მოსწავლემ. ისინი მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებიან მშობლიურ ენაზე. ოსურ ენაზე გამოდის წიგნები, გაზეთები.

სამხრეთ ოსეთის ინტელიგენციის ყრილობამ განიხილა ინტელიგენციის ამოცანები პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულების, ახალი ადამიანის — კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში.

საერთაშორისო ცხოვრება

თათბირი კაიროში

კაირო, 3 სექტემბერი. (საქდესი). აქ გამართული არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს ყოველწლიური სესიის დღევანდელ სხდომაზე დამთავრდა დღის წესრიგის ძირითადი საკითხის — ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განხილვა და მიღებულია მთელი რიგი რეზოლუციები.

იორდანიის წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის არაერთგზისი აქტების გამო, აღნიშნულია ერთ-ერთ რეზოლუციაში, არაბულმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს ყოველი ღონე იხმარონ იორდანიის პოზიციების გასამაგრებლად მდინარე იორდანის აღმოსავლეთ ნაპირას.

სესიის მონაწილეებმა ყველა არაბულ ქვეყანას მოუწოდეს გააძლიერონ ბრძოლა იმისათვის, რომ ისრაელმა ზუსტად შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუცია იერუსალიმის შესახებ.

საბჭომ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება კიდევ ერთი წლით გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა არაბული ქვეყნების ლიგის ახლანდელ გენერალურ მდივანს აბდელ ჰალეკ ჰასუნას.

ოკუპანტთა რეპრესიები

ამანი, 3 სექტემბერი. (საქდესი). ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი. ქალაქ ბეთლემის რაიონში დაპყრობილ არაბულ ტერიტორიაზე აწყობენ არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ დაშინებისა და რეპრესიების ფართო კამპანიას. როგორც იორდანიის გაზეთი „ად-დუსტური" იუწყება, ისრაელის ხელისუფალნი ცდილობენ აიძულონ არაბი ლტოლვილები დატოვონ ად-დეიშის ბანაკი. იმოწმებს რა იერუსალიმიდან მიღებულ ცნობებს, გაზეთი წერს, რომ ამ რაიონში ოკუპანტებმა დააპატიმრეს 77 არაბი.

ჩეხოსლოვაკიის მდგომარეობის გამო

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ ამ ბოლო დღეებში განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ქვეყნის მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოიწონა მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები და განიხილა პარტიის უახლოესი ამოცანები თანამედროვე პირობებში. ამჟამად ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს განიხილავენ პარტიულ ორგანიზაციებში. თავის მორიგ სხდომაზე 2 სექტემბერს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა ზოგიერთი აქტუალური საკითხი, რომელთა გადაჭრაზე დამოკიდებულია ქვეყნის ნორმალური ცხოვრების განვითარება. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს წინადადება მიეცათ დაამყარონ კონტაქტები მოკავშირე ჯარების სარდლობასთან მიმდინარე პრობლემების გადასაჭრელად. ეს კონტაქტები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. ისინი შეეხება როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, ისე მოკავშირე ჯარების მეგობრულ დახმარებას ადგილობრივი მოსახლეობისათვის ისეთ პრაქტიკულ საკითხებში, როგორიცაა მოსავლის აღება, მანქანებისა და მოწყობილობის რემონტი და სხვა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა პროექტი კანონისა ბეჭდვითი სიტყვის სამმართველოს შექმნის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობის მოსაწესრიგებლად. ასეთი ორგანოს შექმნის საჭიროება მით უფრო ცხადია, რომ პრაღის მთელი რიგი გაზეთები და ჟურნალები დღემდე აქვეყნებენ ანტისოციალისტური და ანტისაბჭოთა შინაარსის მასალებს და კვლავ აშკარად მოითხოვენ, რომ ჩეხოსლოვაკია ჩამოშორდეს სოციალისტურ თანამეგობრობას და დაადგეს კაპიტალისტური განვითარების გზას. ასეთი პროგრამა, მაგალითად, ამ დღეებში წამოაყენეს „თავისუფალმა სატელევიზიო გაზეთმა", „კულტურნი ტვორბამ", „მლადი სვეტმა" და ზოგიერთმა სხვამ.

ასეთი გამოცემები ყოველნაირად ცდილობენ გაამხნეონ კონტრრევოლუციური ძალები, რომლებიც არ წყვეტენ თავიანთ პროვოკაციულ პროპაგანდას საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგების წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ დანერგონ სიძულვილი მოკავშირე სოციალისტური ქვეყნებისადმი და იერიში მიაქვთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის იმ ხელმძღვანელ მოღვაწეებზე, რომლებიც იბრძვიან მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებათა თანმიმდევრული განხორციელებისათვის. არ წყდება ნამდვილად პატრიოტული ძალების, იმ პატიოსანი ადამიანების დაშინებისა და დევნის ცდები, რომლებსაც უწოდებენ „კოლაბორანტებს", მაშინ როცა ნამდვილ კოლაბორანტებს, რომელთა კავშირი იმპერიალისტურ დაზვერვასთან დამტკიცებულია, იცავენ. მთელ ამ მტრულ საქმიანობას, ისევე როგორც უწინ, მხარს უჭერენ კაპიტალისტურ ქვეყნებში, იმპერიალისტური მონოპოლიების პრესა დაუფარავი გაბოროტებით აღიარებს იმ გეგმების ჩაფუშვას, რომელთა შედეგად უნდა მომხდარიყო კონტრრევოლუციური გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში და აქვე აძლევს ახალ ინსტრუქციებს თავის აგენტურას.

მაგალითად, ლონდონის გაზეთი „სანდი ტაიმსი" მოუწოდებს ჩეხოსლოვაკიელ კონტრრევოლუციონერებს „გადავიდნენ შეიარაღებულ ბრძოლაზე". გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იმპერიალისტური წრეები ყოველნაირად ცდილობენ გაააქტიურონ კონტრრევოლუციური ბანდების საქმიანობა ახალ პირობებში, რასაც მოწმობს პრესაში აქა-იქ გამოქვეყნებული დასავლეთ გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის ცნობები.

ამ არცთუ ისე სასახელო კამპანიაში რატომღაც აღმოჩნდა ზოგიერთი ორგანიზაცია, რომლებსაც ჰუმანურობისა და ობიექტურობის პრეტენზიები აქვთ. მაგალითად, ინგლისური პენ-კლუბი (მწერალთა კლუბი) აცხადებს, თითქოს პრაღაში დაეპატიმრებინოთ ლიტერატორები. დასახელებული იყვნენ ადამიანები, რომელთა შორის ზოგი პრაღაში ცხოვრობს, ზოგი კი, როგორც ჩანს, იგრძნო რა თავისი დანაშაული სამშობლოს წინაშე გაიქცა — ვინ მიუნხენში, ვინ ვენაში, ვინ ბელგრადში.

როგორც ჩანს კონტრრევოლუციის მფარველებსა და მეურვეებს ძალიან გასჭირვებიათ, რაკი საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ასეთ ხერხებს მიმართავენ.

(საქდესი 3 სექტემბერი).

მოლაპარაკებას მოჰყვა შეთანხმება

პარიზი, 3 სექტემბერი. (საქდესი). საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ განიხილა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებს შორის 27 აგვისტოს მიღწეული შეთანხმების ძირითადი დებულებანი, აგრეთვე ამის შემდეგ მომხდარი ამბები.

როგორც საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურო ადასტურებს, მას დადებითად მიაჩნია ის ფაქტი, რომ მოსკოვის მოლაპარაკებას მოჰყვა შეთანხმება, და იმედს გამოთქვამს, რომ, თუ ორივე მხარე შეასრულებს ამ შეთანხმებას, ამას შეუძლია და კიდევაც უნდა გაუკვალოს გზა ნორმალური მდგომარეობის აღდგენას ჩეხოსლოვაკიასა და სოციალისტურ თანამეგობრობაში.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო კვლავაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და ყველა მოძმე პარტიასთან, კერძოდ, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებისათვის.

მსოფლიოს დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან

მიწისძვრა თურქეთში

სტამბოლი, 3 სექტემბერი. (საქდესი). სულ ცოტა 10 კაცი დაიღუპა და ორასზე მეტი დაშავდა მიწისძვრის შედეგად, რომელიც დღეს დილით მოხდა თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

როგორც თურქეთის რადიო იუწყება, ქალაქ ბარტინში, რომელიც მიწისძვრის ეპიცენტრში აღმოჩნდა, დაინგრა ბევრი შენობა. მიწისძვრის ბიძგი იგრძნობოდა თურქეთის სხვა ქალაქებშიც, კერძოდ, ანკარასა და სტამბოლში. ზუსტი ცნობები მიწისძვრით გამოწვეული ზარალის შესახებ ჯერჯერობით არ არის, რადგან გაწყვეტილია კავშირი დაზარალებულ რაიონებთან. უბედურების რაიონში გაფრინდნენ რეკონსტრუქციისა და ქალაქთმშენებლობის მინისტრი მენთეშოღლუ, სახელმწიფო მინისტრი მიუფტუოღლუ და მთელი რიგი სხვა პასუხისმგებელი პირნი.

სტამბოლი, 4 სექტემბერი. (საქდესი). მიწისძვრის შედეგად, რომელიც მოხდა გუშინ დღის პირველ ნახევარში ჩრდილო-დასავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ანატოლიაში, დაიღუპა 27 და დაშავდა 200 კაცი. 7-8 ბალიანმა მიწისძვრამ, როგორც თურქეთის გაზეთები იუწყებიან, განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა ქალაქებს ბარტინსა და ამასრას (თურქეთის შავი ზღვისპირეთის სანაპირო), სადაც შენობათა 40 პროცენტი აღარ ვარგა საცხოვრებლად.

მხოლოდ ფაქტები

● **ნიუ-იორკი,** 3 სექტემბერი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მხარი დაუჭირა კომპარტიის გენერალური მდივნის გეს ჰოლის პოზიციას, რომელიც მან 22 აგვისტოს ჩამოაყალიბა და იმავე დღეს გამოაქვეყნა პარტიის ეროვნული სამდივნოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო განცხადება, რომელშიც იწონებს ჩეხოსლოვაკიის კრიზისის სწრაფად მოწესრიგების ამჟამად დასახულ ახალ შესაძლებლობებს.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ იმპერიალიზმის ხელყოფისაგან დასაცავად საჭიროა მსოფლიო სოციალისტური სისტემის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების კიდევ მეტი შეკავშირება.

● **ტოკიო,** 4 სექტემბერი. (საქდესი). გუშინ იაპონიის შახტი „ჰოკუტან იუბარიკო" (ჰოკაიდოს კუნძული) ჩამოინგრა. შახტში მყოფი 14 მუშიდან, ცოცხლად დამარხული აღმოჩნდა 8 კაცი. დღეს დილით ამოიღეს მხოლოდ ოთხი კაცის გვამი. ამ ბოლო თვეებში ეს უკვე მეორედ ჩამოინგრა შახტი. ჩამონგრევის შედეგად 8 აგვისტოს დანგრეული ქანის ქვეშ აღმოჩნდა რამდენიმე მუშა. შახტში უბედური შემთხვევების ძირითადი მიზეზებია ეგრეთწოდებული წარმოების კაპიტალისტური რაციონალიზაცია და ის, რომ მეპატრონეები არ იცავენ შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ელემენტარულ ნორმებს.

● **ბონი,** 4 სექტემბერი. (საქდესი). დასავლეთ გერმანიის რადიოსადგური „გერმანული ტალღა", რომელიც სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ პროპაგანდაზე სპეციალდება, ადიდებს მაუწყებლობის მოცულობასა და ინტენსივობას. უკვე ახლა დღე-ღამეში 80 საათს აღემატება გადაცემათა პროგრამა, რომელიც 29 ენაზე წარმოებს.

რევანშისტული „სათვისტომოები" დაჟინებით მოითხოვენ გაძლიერდეს ძირგამომთხრელი პროპაგანდა სოციალისტური ქვეყნებისათვის.

იორდანია. ისრაელის აგრესიის შედეგად იორდანიელთა ათასობით ოჯახი იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური ადგილები და დასახლებულიყო იორდანიის მთავრობის მიერ აგებულ კარვების ქალაქებში. **სურათზე:** კარვების ქალაქის მცხოვრებნი დასარიგებელ პუნქტთან, სადაც მათ შეუძლიათ მიიღონ კვების პროდუქტები და საჭირო ტანსაცმელი.

(საქდესის ფოტოქრონიკა).

დავეუფლოთ ლენინის იდეურ მემკვიდრეობას

I.

საუკუნეზე მეტია მარქსიზმ-ლენინიზმი ძლევამოსილად მიაბიჯებს ჩვენს პლანეტაზე, რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების ცოცხალი წყაროა. ეს მოძღვრება კვლავ და კვლავ იზიდავს მილიონობით ადამიანებს, აკავშირებს მათ ერთიან ურყევ ძალად, შთააგონებს კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

სოციალიზმი ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავმა მთელ მსოფლიოს გადაუშალა დიადი წარმატებანი, რომლებსაც საბჭოთა მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სოციალისტური ინტელიგენცია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით აღწევენ. მსოფლიომ განსაკუთრებით მკაფიოდ დაინახა, რა უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანა სოციალიზმის ადამიანი მატერიალური, სულიერი და ზნეობრივი იდეალისაკენ თავის ისტორიულ წინსვლაში.

„მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ" — ცოცხლობს და იმარჯვებს იმ გრანდიოზულ გარდაქმნებში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოახდინა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები ცოცხლობს და იმარჯვებს სოციალისტური ქვეყნების ხალხთა მიღწევებში, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, საერთაშორისო მუშათა კლასის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წარმატებებში".

და რაც უნდა ცოფებს ყრიდეს და შმაგობდეს იმპერიალისტური ბურჟუაზია, იგი ვერ შეაჩერებს მსოფლიოს უძლეველ რევოლუციურ გარდაქმნას.

ხელს არ იღებს რა სოციალისტური თანამეგობრობის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურებზე, იმპერიალიზმი პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დივერსიებზე ამყარებს იმედს. მათ აშინებთ მსოფლიო რევოლუციური პროცესის მძლავრი განვითარება. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის გადაქცევა თანამედროვეობის გადამწყვეტ ფაქტორად, სოციალური ქარიშხლები და ბურჟუაზიული წყობილების საძირკვლის შერყევა. მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის მტკიცე გამოსვლები თავისი უფლებებისათვის, ხალხთა ანტიიმპერიალისტური განმათავისუფლებელი ბრძოლის მზარდი გაქანება — ყველაფერი ეს დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ იმპერიალიზმის პოლიტიკა პირდაპირ ეწინააღმდეგება კაცობრიობის უმრავლესობის საარსებო ინტერესებს.

თანამედროვე პერიოდს ახასიათებს სოციალიზმსა და იმპერიალიზმს შორის პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავება. მშრომელების სოციალისტურ მონაპოვართა წინააღმდეგ ამ მწვავე იდეურ ომში გაერთიანდნენ ყველა შავბნელი ძალები: ყველა ჯურის რეაქციონერები, ფაშისტები და მემარჯვენე სოციალისტები, ნაციონალისტები, შოვინისტები, სიონისტები. უმნიშვნელოვანეს პოზიციებზე მათ უკავშირდებიან რევიზიონისტებიც.

„საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის დადგენილებაში, აგრეთვე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა გაძლიერდეს შეტევითი ბრძოლა იმპერიალისტური ბურჟუაზიის გლობალური პოლიტიკური სტრატეგიის წინააღმდეგ, ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ, მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის სიწმინდისათვის.

ცდილობს რა შეასუსტოს რევოლუციური იდეების ზემოქმედება ადამიანთა გონებასა და გულზე, ბურჟუაზიული პროპაგანდა ყველაფერს აკეთებს იმისათვის რომ შეალამაზოს, შეაკეთოს კაპიტალისტური საზოგადოების ფასადი. აყენებენ კონვერგენციის, ესე იგი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის „შერწყმის" სხვადასხვა თეორიებს, „სახალხო კაპიტალიზმის", „თანასწორ შესაძლებლობათა" საზოგადოების, „თავისუფალი სამყაროს" სხვადასხვა თეორიებს და ა. შ. ცდილობენ მიჩქმალონ პრინციპული განსხვავება კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, ქადაგებენ „ხიდების გადების" დოქტრინას, რომელიც არსებითად სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იდეოლოგიური შეტევის ერთ-ერთი საშუალებაა.

გამოცდილება მოწმობს, რომ სიცრუე იყო, არის და რჩება ბურჟუაზიის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მის მისწრაფებაში გააბრიყვოს თავისი ქვეყნების ხალხები, დეზინფორმაცია შეიტანოს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრში. ამჟამად იარაღდებიან ანტიკომუნისტური პროპაგანდის უფრო მოქნილი, უფრო დახვეწილი მეთოდებით, რომლებსაც მოჩვენებითი ობიექტურობით ჩქმალავენ. ჩვენს წარმატებებს სახავენ როგორც ცალკეულ, არადამახასიათებელ მოვლენებს. სამაგიეროდ ბევრ ძალას ახმარენ იმას, რომ გააზვიადონ ჩვენი სიძნელეები, მუშაობისა და ცხოვრების ნაკლოვანებანი, გაასაღონ ისინი „სოციალურ მანკიერებებად". ისეთ ბუნებრივ მოვლენებსაც კი, რომლებიც ახასიათებენ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარების კანონზომიერ პროცესებს, ფართო მასების ჩაბმას პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის აქტუალური პრობლემების განხილვაში — საყოველთაო-სახალხო დისკუსიებს ეკონომიური რეფორმის, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საკითხთა განხილვას — სახავენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც „აზრთა სხვადასხვაობას", „პროტესტს" „უკმაყოფილებას". ბურჟუაზიული პროპაგანდისტები ცდილობენ ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, დაეთესონ უნდობლობა ჩვენი პოლიტიკისადმი, შეასუსტონ პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ძირი გამოუთხარონ სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებას, შინაგან სიმტკიცეს, განხეთქილება შეიტანონ მათს ურთიერთობაში, გააქტიურონ მათში ანტისოციალისტური ძალები. როგორც ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩეხოსლოვაკიის ამბებმა, ბრძოლა იმპერიალიზმის აგრესიულ მისწრაფებათა წინააღმდეგ, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს ისინი, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შემდგომ შეკავშირებას მოითხოვს. ამ ბრძოლაში აუცილებელია პრინციპულობა და თანმიმდევრობა, გამძლეობა და მოქნილობა, რეალური ვითარების გათვალისწინება და იმ პასუხისმგებლობის შეგნება, რომელიც აკისრიათ სოციალისტურ ქვეყნებს, ყველა კომუნისტს.

ჩვენს დროში იდეოლოგიური ბრძოლა რთული და მრავალმხრივია. იგი მოიცავს ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროს: მატერიალურს, სულიერს, პოლიტიკურს, მისი ისრები გადაჯვარედინდება ხოლმე ადამიანთა თეორიულ, მსოფლმხედველურ ასპარეზზე, პოლიტიკურ რწმენაში, ესთეტიკურ იდეალებსა და შეხედულებებში. მუდმივი ფართო იდეოლოგიური შეტევის წარმოება მტრული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყურადღების მიპყრობა მის გადამწყვეტ მიმართულებებსა და უბნებზე, ბრძოლის სტრატეგიის, იდეოლოგიური ბრძოლის ტაქტიკის დაუფლება — ასეთია დროის მოთხოვნა. ყველაფერი ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს პარტიის იდეურ მებრძოლთა მომზადებასაც.

II.

ახლა, როგორც არასოდეს, მთელ პარტიას და, მაშასადამე, თვითეულ მის ორგანიზაციასა და თვითეულ კომუნისტს მოეთხოვება ურყევი იდეური რწმენა, კლასობრივი, პროლეტარული თვითშეგნების სიმახვილე. მხოლოდ იმ პირობით, თუ მტკიცე იდეური რწმენა აქვთ, კომუნისტებს ძალუძთ გაუმკლავდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის შემოტევას, მტკიცედ გასცენ საკადრისი პასუხი რევიზიონიზმის ხრიკებს, დაიცვან მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდე, უზრუნველყონ კომუნისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებანი.

პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია პარტიის წევრთა და კანდიდატთა, ყველა მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლება. როგორც ცნობილია, სამი წლის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შემოღებულია მარქსისტულ-ლენინური სწავლების ახალი სისტემა. დასახული იყო ამოცანა ისე აგვეგო პარტიული სწავლება, რომ კომუნისტები უახლოესი წლების განმავლობაში ღრმად და ყოველმხრივ დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მის შემადგენელ ნაწილებს — ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიას და მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებს, კარგად შეითვისონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, ისწავლონ რევოლუციური თეორიის პრაქტიკაში, მოქმედებაში აქტიურად გამოყენება. პარტიულ ორგანიზაციებს საქმით უნდა უზრუნველეყოთ დიფერენცირებული მიდგომა მომზადების სხვადასხვა დონის მქონე ადამიანთა სწავლების ორგანიზაციისადმი, განეხორციელებინათ რევოლუციური თეორიის პერსპექტიული, მთელი რიგი წლებისათვის გაანგარიშებული შესწავლა. ამის შესაბამისად შემოღებულ იქნა თანმიმდევრული მარქსისტულ-ლენინური განათლების სამი საფეხური — დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი.

დღეს შეიძლება ითქვას, რომ გაწეულია დიდი მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესასრულებლად. პარტიული განათლება უფრო მიზანდასახული გახდა, ამაღლდა მისი იდეურ-თეორიული დონე. სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებისა და საიუბილეო წლის სხვა მასალების, კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის დოკუმენტების, „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ღრმად შესწავლამ გაამდიდრა მთელი პროპაგანდისტული მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები.

პარტიის საიუბილეო დოკუმენტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებანი მსოფლიო რევოლუციური პროცესის, კომუნისტური მოძრაობისა და იმპერიალიზმთან ბრძოლაში სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის საკითხებზე ჩვენი პარტიის დიდი თეორიული წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. მთელი ცხოვრება კვლავ და კვლავ ადასტურებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორეს, უკანასკნელი დროის მოვლენებზე ჩვენი ლენინური ცენტრალური კომიტეტის დასკვნების სიმართლეს. ეს დოკუმენტები ყველა კომუნისტს აიარაღებენ ღრმა ცოდნით, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში.

ამ წლების მანძილზე ხუთ მილიონამდე მუშამ, გლეხმა, მოსამსახურემ დაამთავრა დაწყებითი პოლიტიკური სკოლები. ხუთ მილიონზე მეტი კაცი სწავლობს რევოლუციურ თეორიას მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში. პარტიული აქტივის რაიონულ და საქალაქო სკოლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში, სადაც 400 ათასამდე კაცი სწავლობს, ფართო გავრცელება ჰპოვა რეფერატებმა და მოხსენებებმა კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებზე, პარტიული ორგანიზაციების მუშაობის კონკრეტულ ეკონომიურ და იდეოლოგიურ საკითხებზე.

ჩვენს საუკუნეში ცოდნის მოცულობა სწრაფად იზრდება — მეცნიერთა შეფასებით, იგი ყოველ რვა წელიწადში ორკეცდება. ბუნებრივია, კომუნისტებს, განსაკუთრებით ხელმძღვანელ კადრებს, მოეთხოვებათ, რომ ისინი ფეხს უწყობდნენ საუკუნეს, მუდამ შეავსებდნენ თავიანთ ბაგაჟს ისეთი ცოდნით, რომელიც ასახავს მეცნიერების ყველაზე თანამედროვე დონეს.

მარქსისტულ-ლენინურ განათლებას ახლა ერთ მილიონზე მეტი პროპაგანდისტი ხელმძღვანელობს. ეს პარტიის იდეურ მებრძოლთა დიდი არმიაა. მისი ფასდაუდებელი სიმდიდრე, თავდადებული და გმირი მშრომელნი პოლიტიკური განათლების სარბიელზე.

გაიზარდა პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების როლი — ისინი სულ უფრო ხდებიან პარტიული პროპაგანდის ნამდვილ სასწავლო-მეთოდურ ცენტრებად. საჭიროა კვლავაც განვამტკიცებდეთ პოლიტიკური განათლების სახლების მუშაკთა შემადგენლობას, უნდა შევქმნათ ყველა პირობა მათი ნაყოფიერი საქმიანობისათვის, განვახორციელოთ კონსულტანტთა სპეციალიზაცია და წარვმართოთ მათი ღონისძიებანი პარტიული პროპაგანდისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შინაარსისა და მეთოდიკის საკითხების დამუშავებისათვის.

როგორც პროპაგანდისტი, ისე მსმენელი დღეს შეიარაღებული არიან ყოველივე იმით, რაც აუცილებელია ნაყოფიერი თეორიული სწავლებისათვის. მათს განკარგულებაშია ამას წინათ გამოსული მეორე გამოცემა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებებისა, ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული, პარტიის დოკუმენტები და გადაწყვეტილებანი. დიდი ოქტომბრის იუბილესათვის გამოქვეყნდა ნაშრომები მთელ რიგ დიდ ისტორიულ-პარტიულ, ეკონომიურ, ფილოსოფიურ და მარქსისტულ-ლენინური თეორიის სხვა პრობლემებზე. სერიოზული მუშაობაა გაწეული პროგრამების, სახელმძღვანელოების, სასწავლო და მეთოდური დამხმარე წიგნების მოსამზადებლად მარქსისტულ-ლენინური განათლების სხვადასხვა რგოლისათვის, ცენტრალური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალები, გაზეთები, საკავშირო რადიო და ტელევიზია აწყობენ გამოსვლებსა და კონსულტაციებს ყველაზე რთულ თეორიულ პრობლემებზე. ყოველივე ეს საუკეთესო სამეცნიერო-მეთოდურ ძალებს შესაძლებლობას აძლევს უშუალო გავლენას ახდენდნენ თეორიული სწავლების შინაარსსა და იდეურ დონეზე.

ჩვენს ქვეყანაში განაღებული მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია მთელი იდეოლოგიური მუშაობის ორგანიზაციაში, ჩვენი პარტიის იდეური სიმდიდრის პროპაგანდაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

სიგნალები უკომენტაროდ

რედაქციას უპასუხებს ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომი

ამას წინათ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა წერილი სათაურით „სიგნალები უკომენტაროდ“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმშის ზედა უბნის მოსახლეობა წყლის ნაკლებობას განიცდის.

ამ წერილთან დაკავშირებით ამბროლაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. შარაბიძემ გვაცნობა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება.

ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალსადენის მშენებლობა. მიმდინარე წლის ბოლომდე სოფელი უზრუნველყოფილი იქნება სასმელი წყლით.

დაკარგული მოედანი

რედაქციას უპასუხებს თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომი

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა სოფლკორის წერილი, რომელშიც მხილებული იყო თიანეთის რაიონში ფიზკულტურული მუშაობის ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარე.

წერილთან დაკავშირებით თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დ. ლომჯარიამ შემდეგი გვიპასუხა: წერილში „დაკარგული მოედანი“ მოყვანილი ფაქტი სინამდვილეს შეეფერება.

რაისაბჭოს აღმასკომმა განიხილა ეს საკითხი და დასახა ღონისძიებანი.

ინიციატორია კლუბი

ფოთი. კომკავშირის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებს ნინოშვილის სახელობის საქალაქო კლუბი (გამგე ს. ნიკოლაიშვილი). აქ მოეწყო შაბათობა და კლუბის ეზოში დაირგო მარადმწვანე ხეები. ახალგაზრდებმა მოაწყეს ექსკურსია მარშრუტით: ფოთი — სოხუმი — სოჭი, სადაც დაათვალიერეს ღირსშესანიშნავი ადგილები. გაისეირნეს აგრეთვე რიწის ტბაზე. 75 კომკავშირელი მონაწილეობდა პალიასტომის ტბის მიდამოების დასათვალიერებლად მოწყობილ ექსკურსიაში.

ახალგაზრდა მკითხველთა საკავშირო დათვალიერებას მიეძღვნა ახალგაზრდობის საღამო, რომელზეც მოწვეული იყვნენ ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის“ მოწინავე კომკავშირელები.

ქ. ხომერიკი,
ფოთის ნინოშვილის სახელობის კლუბის ბიბლიოთეკარი.

გაჭიანურებული მშენებლობა

სამ წელზე მეტია, რაც ტრესტი „მაღლივმშენი“ (მმართველი პ. ნაკაიძე) აშენებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საცხოვრებელ სახლს დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე — ლენინის ქუჩაზე. როცა საგარანტიო ხელშეკრულებით 1965 წელს კერძოდ ნაქირავებ ბინებში საცხოვრებლად გადავდიოდით, დაგვპირდნენ, რომ მშენებლობას დროულად დაამთავრებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ დაპირებად დარჩა. მშენებლობა გაჭიანურდა. მიმდინარე წლის დასაწყისში მშენებლებმა კვლავ დაპირების სიტყვებით მოგვიქონეს თავი და გვითხრეს, როგორც გეგმით არის გათვალისწინებული, სახლს მეორე კვარტალში ჩაგაბარებთო, მაგრამ ამ სიტყვასაც ასრულება არ ეწერა. ახლა კი გამოირკვა, რომ დამთავრების ვადა ერთხელ კიდევ მესამე კვარტალში გადაუტანიათ.

მესამე კვარტალის ბოლო არც ისე შორს არის და დიდხანს ცდა ალბათ აღარ დაგჭირდებათო, იტყვის მკითხველი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე როდია. სამუშაოები ჯერ სანახევროდ არ არის შესრულებული და მშენებლობას საღი გონების თვალით თუ შევხედავთ, მივხვდებით, რომ მუშაობის ასეთი ტემპით იგი 1969 წელსაც არ დამთავრდება.

როდემდის უნდა გაგრძელდეს ასე?

შ. ანდღულაძე.

კურორტიდან კურორტამდე...

ცნობილია ცაიშის ბალნეოლოგიური კურორტის სამკურნალო წყლების სიკეთე. ყოველ წელიწადს აქ დიდძალი დამსვენებელი ჩამოდის.

ცაიშში სამკურნალოდ ჩამოსულთა უმრავლესობას ექიმები ურჩევენ დროგამოშვებით კურორტ ანაკლიაში მიიღონ ზღვის აბაზანები. მაგრამ ცაიშიდან ანაკლიამდე სპეციალური ავტობუსი არ დადის. ავტომეურნეობები დროულად ვერ ახერხებენ მგზავრობას, ერღვევათ მკურნალობის რეჟიმი.

საჭიროა ცაიშსა და ანაკლიის კურორტებს შორის დაინიშნოს სპეციალური ავტობუსი.

ლ. გვასალია,
პენსიონერი.

სარედაქციო ფოსტიდან



მშვიდობა, სულო ძლიერო!

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული მწერლობა

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის.
ნ. ბარათაშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ბრწყინვალე საბუთია პოეტის მაღალნიჭიერებისა, უზადო მოქალაქეობისა, ღრმა ინტელექტისა და დიადი პატრიოტიზმისა. პოეტი იყო თავისი ერისა და დროის შვილი, რომლის შეგნებაში წინ წამოწეულია ზრუნვა ადამიანისა, სამშობლოსა და მომავლისათვის. ბარათაშვილისთვის სრულიად ბუნებრივია მსჯელობა სუბიექტურ განცდებზე და აქედან სვლა ეროვნულ და საკაცობრიო პრობლემებამდე. მისი ლირიკა ორპლანიანია და ძლიერ ძნელია ზღვარის პოვნა მათ შორის, რადგან პიროვნული ტკივილის განცდასთან ახლოს დგას საერთო საკაცობრიო საკითხებზე ზრუნვა.

ბარათაშვილის პოეზია შორს არის ჩარჩაკეტილი პიროვნულობისაგან, იგი არ არის მხოლოდ ოხვრა ობოლი სულისა. აქ ისმის უკმაყოფილება არა მარტო იმიტომ, რომ ახალგაზრდა კაცმა ვერ მოახერხა სამხედრო სამსახურში შესვლა ან სხვა რამ სურვილი ვერ შეისრულა; ბარათაშვილის ლექსებში და წერილებში მხოლოდ ის კი არ ისმის, თუ რა მდგომარეობა შექმნა მის მამას, არამედ კვნესა ადამიანისა, რომელმაც იცის, რომ ეს საწუთრო საწყაულია აღუვსებელი, რომ ყოველივე სწრაფწარმავალია; პოეტისათვის უპირველესი კითხვა ის კი არ არის, თუ სად მონახოს მისაყრდნობი დაობლებულმა სულმა, არამედ მზის ამოსვლისა და ხვალინდელი დღის საკითხი.

სწორედ ამიტომ ბარათაშვილის პოეზიაში მნიშვნელოვანია ფიქრი და ზრუნვა, იგი ანალიტიკური მსჯელობის პოეზიაა და აღსავსეა პუბლიცისტური პათოსით, სადაც შემოქმედი იკვლევს საკითხს. ადამიანის სულის მდგომარეობისა და ქვეყნის საზოგადოებრივი ვითარებისა, მსჯელობს ყოფიერების რაობაზე და სრულიად გარკვეული დასკვნებიც გამოაქვს, რაც დაკავშირებულია პოეტის მოქალაქეობრივ შეგნებასთან.

ეს არის მთავარი ელემენტები, რითაც ბარათაშვილი ორგანულ კავშირში იმყოფება საუკუნეებით გამოწრთობილ ქართული ლიტერატურის ტრადიციებთან, რომელთა შედეგი თვით ბარათაშვილის პოეზიაა.

დიდი პოეტის შემოქმედება იმითაც მნიშვნელოვანია, რომ სწორედ იგი იყო დამაკავშირებელი საზოგადო საკითხისათვის ზრუნვის თვალსაზრისით ორი დიდი ლიტერატურული ეპოქისა. თავის თანამედროვე პოეტებში მხოლოდ ბარათაშვილმა შეძლო გამოენახა მიმართულება ადამიანის დანიშნულებისათვის. ქართულ ლიტერატურაში მოძმისათვის ზრუნვის ხაზი ბარათაშვილის პოეზიაზე გადის.

ბარათაშვილის პოეზიას უცილობლად ეტყობა ძველი ქართული ლიტერატურის კვალი. პოეტი განათლებული და განვითარებული ადამიანი იყო. მან მოწაფეობისას დაწერა წერილი რომის პაპის უფლებებზე; თარგმნა კორნელიუს ტაციტის თხზულების ნაწილი. ბარათაშვილის და ბარბარე იგონებდა 1915 წელს: „სახლში წიგნი ბევრი ჰქონდათ. ნიკო საუცხოოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს“. ბარათაშვილს ხელთ ექნებოდა ს. დოდაშვილის თხზულებები, მარი ბროსესაგან გამოცემული ქართველოლოგიური წიგნები, „ვეფხისტყაოსანი“, „აბდულმესიანი“, „ჩახრუხაძე“, დიმიტრი ბაგრატიონის პოემა და სხვ. ინფორმატორები, რომელთაც შეეძლოთ მრავალი ცნობა მიეცათ მისთვის, იყვნენ ს. დოდაშვილი, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილი, ეგნატე იოსელიანი, სხვა მახლობლები, რომელთაც ახსოვდათ ერეკლე მეორის მეფობა, კრწანისის ტრაგედია და ბევრი სხვა რამ.

ბარათაშვილმა შემოქმედებითად გამოიყენა ის, რაც მან მიიღო ქართული მწერლობის შესწავლით.

უწინარეს ყოვლისა, ბარათაშვილის პოეზიაში „ვეფხისტყაოსნის“ სული ტრიალებს. რუსთაველის მიმართ სიყვარულის გაძლიერებაში გარკვეულ როლს ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა“ შეასრულებდა, რომელშიც რუსთაველი მიჩნეულია ქართული სიტყვიერების უმაღლეს ხარისხად. ბარათაშვილმა „ვეფხისტყაოსანში“ დაინახა დიდი ჰუმანური იდეა — ბოროტსა სძლია კეთილმან, რაც საკუთარი შემოქმედების ძირითად თემად აქცია. 1833-36 წლებში დაწერა მან „შემოღამება მთაწმინდაზედ“, რომელშიც სიკეთის გამარჯვებისა და ბოროტის დამარცხების იდეა არის გამოხატული — რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს.

მნიშვნელოვანია იდეა მოძმისათვის დახმარებისა და მასთან დაკავშირებული სახე — მერანი. გარდა იმისა, რომ „მერანი“ არის რუსთაველის ლექსიკიდან, თავისი არსით იგი დაკავშირებულია სრბოლასთან, რაც რუსთაველსა და ბარათაშვილს ერთგვარად გაუზიარებიათ. ბარათაშვილის მერანი თავდავიწყებით მსრბოლია, ხოლო მისი მხედარი, როგორც ავთანდილი ტარიელის დასახმარებლად, მიჭრის მოძმისათვის სავალი გზის გაადვილების მიზნით. ბარათაშვილის „მირბის, მიმაფრენს...“ გამოხატულებაა შეუპოვარი წინააღმდეგობისა. თავდავიწყებული სვლისა მიზნისაკენ, შეუნელებელი და დაუოკებელი ძიება ახალი გზისა.

რუსთაველი მაღალი იდეით და მრავალი პოეტური აქსესუარით ქართველი ადამიანის შეგნების ნაწილად იქცა იმთავითვე. ბარათაშვილისათვის რუსთველური სრულიად ბუნებრივია. მით უფრო მაშინ, როცა შინაგანი არსის გამოხატვასთან გვაქვს საქმე.

სრულიად ბუნებრივად მიმართავს ბარათაშვილი ჩახრუხაძეს, შავთელს, სულხან ორბელიანს, მათს სიტყვებს და ფრაზებს და არსად არ ემჩნევა შეუსაბამობა ბარათაშვილის შეგნებასა და აღებულ ფორმათა შორის, ამასთან ბარათაშვილი არა ცვლის იმ სიტყვათა მნიშვნელობას, რომელნიც მაღლიანი წინაპრებისაგან აიღო. ბარათაშვილი „თითქოს შეგნებულად მოწოდებული ყოფილა ქართული პოეტური მეტყველების გადაჯანსაღებისა და ქართული პოეტური სიტყვისათვის სიქალწულე, უშუალობა დაებრუნებინა“, — როგორც წერდა **ს. ჩიქოვანი.**

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ პირველი მწერალი, რომელმაც რუსთაველისა და ბარათაშვილის კავშირი აღიარა, იყო ღვიმელი (შეიძლება სამსონ აბაშიძე), რომელიც 1865 წ. ივლისის „ცისკარში“ წერდა: „წაიკითხეთ გონების თვალით, გულდასმით რამდენჯერმე იმის (ბარათაშვილის — ს. ხ.). ლექსები, გაიგეთ ნამდვილი მათი მნიშვნელობა და მაშინ, გარწმუნებთ, ყველა ერთხმად დამძახებთ, რომ ჩვენი ბარათაშვილი გენიით ჩვენი რუსთაველის ძმაა... თუ რომ მართლა რუსთაველი გენია იყო, მაშინ ეჭვი არა მაქვს, ბარათაშვილიც გენია იყო, თუმცაღა ჩვენი საზოგადოება რუსთაველის „ვეფხისტყაოსნს“ უფრო კითხულობს...“ სამწუხაროდ, წერილის ავტორს კავშირის საბუთები არ მოჰყავს, თუმცა, ცხადია, მას შედარება მოუხდენია, რის საფუძველზეც სრულიად მართებული დასკვნა გაუკეთებია.

ბევრი აზრობრივ-ფორმული შეხვედრა და თანხვედრა შეიძლება დაიძებნოს ბარათაშვილისა და ქართული პოეზიის სხვა წარმომადგენელთა შემოქმედებაში. პოეტი იცნობდა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობას — თეიმურაზ პირველს, არჩილს, ვახტანგ მეექვსეს, სულხან ორბელიანს, მისთვის უცხო არ იყო ბესიკის სევდაც.

ბარათაშვილი იცნობდა თავისი თანამედროვეობის ლიტერატურას, შემთხვევითი არ იყო მისგან იოჰან ანტონ ლაიზევიცის „იულიუს ტარენტელის“ თარგმნა, მისთვის მახლობელია ლერმონტოვის მეამბოხე ხმა, იგი შესულია პუშკინის პოეზიის წრეში. ბაირონის ურჩეკი ნებისყოფა და მიცკევიჩის მებრძოლი პატრიოტიზმი პოეტმა საკმარისად კარგად იცის.

ადამიანის სიყვარულის დიდმა გრძნობამ პოეტი ხშირად იხსნა განწირულებისაგან. საბოლოოდ მან ამომავალი მზე, მომავალი და არსებობის მიზანი აღიარა. წამებისა და ბრძოლის გზამ, გზამ შავბედზე გამარჯვებისა, მოძრაობისა, შეურიგებლობისა და შეუპოვრობისა ბარათაშვილი მომდევნო ეპოქის კარიბჭესთან მიიყვანა.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება ისე მოეწყო ბარათაშვილის დროს, რომ მგოსნის პოეტური ძლიერება შეუმჩნეველი დარჩა. ბარათაშვილის ლექსების მცნობთა წრე მეტად ვიწრო იყო. ბარათაშვილზე მის დროს აზრი არ შექმნილა. პოეტს თავისი ლექსი დაბეჭდილი არ უნახავს. ქართული პრესა 1832 წლის შემდეგ საქართველოში კარგა ხანს აღარ არსებობდა. 60-იან წლებამდე ბარათაშვილს თავისი ჯეროვანი ადგილი არა ჰქონია ეროვნული კულტურის განვითარებაში. ბარათაშვილი „აღმოაჩინეს“ თერგდალეულებმა და მათ მისცეს იმთავითვე ის ადგილი პოეტს, რაც მას შეურყევლად უპყრია დღემდე.

პირველი ქართველ სამოციანელთაგან არის ი. ჭავჭავაძე, რომელმაც შეიგრძნო საოცარი ძალა ბარათაშვილის ლირიკისა, პირველად ი. ჭავჭავაძემ განიცადა ბარათაშვილის სიტყვა და აზრი.

ქართველ სამოციანელებზე ბარათაშვილის ლექსებმა მაორგანიზებელი გავლენა მოახდინეს. პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების შეცვლისთვის მებრძოლმა თაობამ მის ლექსებში დაინახა მიზნისთვის თავდადების იდეა, მოძრაობისა და შემართების დაუშრეტელი ენერგია, საზოგადოებრივის წინაშე პიროვნულის უკან დაყენება, შეუპოვრობა. ი. ჭავჭავაძემ ორი ლექსი უძღვნა ბარათაშვილის ხელნაწერების გაცნობას ეკატერინე ჭავჭავაძესთან ცარსკოე სელოში: „ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა ცას განუბნიოს შავი ღრუბლები, ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა,“ როცა მისი ლექსები წავიკითხე. მცირე დაფიქრების შემდეგ მან მეორე ლექსი უძღვნა ბარათაშვილს ასეთი დასასრულით:

არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით
დაობლდა ერი!
ვინლა მოგვითხრას ჩვენი ურვა,
ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც
ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით
მკვდრეთითაც აღგადგენს შენა.

ი. ჭავჭავაძემ ბარათაშვილი ეროვნულ პოეტად აღიარა და უკვდავთა რიცხვში ჩათვალა. ი. ჭავჭავაძე მაშინ შორეულად ფიქრობდა „მგზავრის წერილების“ იდეაზე. მერნის უსაზღვრო ჭენება, დაპირისპირება მოსისხლე მტერთან, შეუპოვრობა და ბრძოლა ბოროტ სულთან, მიზნიანი მისწრაფება და მოძრაობა — საზოგადოებრივი და სოციალური არსი აიღეს ახალი ქართლის მეთაურებმა ბარათაშვილისაგან, რაც ი. ჭავჭავაძემ „მგზავრის წერილებში“ ფორმულის სახით წამოაყენა — „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“.

ამიერიდან ბარათაშვილი ი. ჭავჭავაძის აზროვნების თანამდევია. 1863 წელს „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის პირველსავე გვერდზე მან ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ დაბეჭდა, როგორც თერგდალეულების ჟურნალის მიმართულების გამომხატველი საპროგრამო წერილი. ბარათაშვილის პოეზია მან ქართული მხატვრული სიტყვის მოქალაქეობის საბუთად მიიღო. როცა 90-იან წლებში საკითხი დადგა ბარათაშვილის ნეშტის თბილისში გადმოსვენებისა, ი. ჭავჭავაძემ საზოგადოებრივი აზრი შეამზადა წერილით „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც „ივერიაში“ დაბეჭდა და თქვა: ბარათაშვილის ძიების სურვილი მთელი კაცობრიობის სურვილია. ბარათაშვილის შემოქმედების ზოგადკაცობრიული ხასიათის ახსნისათვის ი. ჭავჭავაძე წერდა: „ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გახადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“...

1893 წლის 25 აპრილს ი. ჭავჭავაძემ ერთხელ კიდევ მოიხარა ქედი ბარათაშვილის სამარესთან და მისი მხატვრული აზრი ქართული ეროვნული სულის აღორძინებად აღიარა. ილიამ წინასწარმეტყველურად თქვა, რომ ბარათაშვილის დიდბუნებრივებამ ყოველი ქართველის გულში აიგო ბუდე და იქ დარჩება საუკუნოდ.

ქართული მწერლობის განვითარების თვალსაზრისით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ა. წერეთლის წერილს „ჩანგურის“ შესახებ, რაც მან „ცისკარში“ დაბეჭდა 1865 წ. ამ წერილის მთავარი თეზისია დასაბუთება ბარათაშვილის და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი კავშირისა. ბარათაშვილი ხალხის ცხოვრებაზე წერდა, მაგრამ მის კვალს მაშინ არავინ გაჰყოლია. აი გაჩნდა ი. ჭავჭავაძე და შეუდგა იგი ბარათაშვილის კვალს და ხალხს უთხრა, რაც ვერ მოასწრო ბარათაშვილმა. „ერთი სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მონაცვლე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული“ — ასკვნის აკაკი. მას აინტერესებდა მოწინავე იდეების მემკვიდრეობითობა, ლიტერატურის საზოგადოებრივი ფუნქციის გარკვევა და თავისი თანამედროვეობის შეფასება. ბარათაშვილი მან ჩათვალა ახალი ქართული ლიტერატურული აზროვნების მეთაურად, საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი იდეების მოქადაგედ.

მრავალი მოსაზრება გამოითქვა ქართულ კრიტიკაში ბარათაშვილზე. ბარათაშვილს ქართველ ბაირონს უწოდებდნენ (ა. ფურცელაძე), რკინისა და ქვის კაცს, სევდისა და გლოვის ნისლით გარემოცულს (ა. ცაგარელი), კაცს, რომელიც გულგრილად ვერ უყურებდა ამ ქვეყანას (გ. თუმანიშვილი), გამომთქმელს მთელის თავის მამულის კაეშნისა (ვლ. მიქელაძე), გრძნობასავსე მომთქმელ პოეტს (ი. მაჩაბელი), კაცის გულის გამომთქმელს, საქართველოს უზადო პოეტს (ალ. ორბელიანი), მაღალი გრძნობებისა და იდეალების კაცს (ს. მესხი) და სხვ. ბარათაშვილს მიეძღვნა ღირებული გამოკვლევები რ. ფანცხავასი, კ. აბაშიძისა, ი. მეუნარგიასი, ა. ხახანაშვილისა და სხვათა.

პირველი კრებული პოეტის ლექსებისა 1876 წელს დაიბეჭდა, რასაც მაშინდელი პრესა აღფრთოვანებით გამოეხმაურა. ბარათაშვილის თხზულებების შეკრებასა და შესწავლას დიდი ამაგი დასდეს პ. უმიკაშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ზ. ჭიჭინაძემ...

ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება ქართულ ეროვნულ ძალთა დემონსტრაცია იყო. ის მნიშვნელობა აღიარეს ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა. ვაჟა-ფშაველა ლექსით მიესალმა ნეშტის სამშობლოში დაბრუნებას:

მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,
ქართლისა წყლულთა მოზარე,
მშვიდობა, სულო ძლიერო,
თავის სამშობლოს მოყვარე...

ასე გამოარა რამდენიმე თაობა ბარათაშვილმა და ყველგან მიიღო სახელი წინამორბედისა. ასე დატრიალდა მისი დიდი სახელი XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

ბარათაშვილი თანამედროვე ქართული ლირიკის შთაგონების წყაროდ იქცა. ჩვენი დროის დიდმა მესიტყვეებმა მასთან შემოქმედებითი კავშირი გააბეს, გაიზიარეს მისი ბორგვა და ნათელი სევდა, მისი მებრძოლი და შეუპოვარი სული ჩაიდგეს, შეიყვარეს და განადიდეს იგი.

ახლოს მივიდა ბარათაშვილთან გ. ტაბიძე. პოეტის ლექსის ფორმასა და განწყობილებაში საერთო ბევრი ნახა გალაკტიონმა. მთაწმინდის მთვარე და ლურჯა ცხენების ჭენება ბარათაშვილისეული იყო. ბარათაშვილის სული თან სდევდა მას დასასრულამდე, სხვადასხვაგვარი იყო კავშირი გალაკტიონისა ბარათაშვილთან ადრე და შემდეგ. სევდისა და ნერვიულობის დროს გალაკტიონმა ბარათაშვილის პოეზიაში თავისი სულიერი მდგომარეობის შესაფერი ელემენტები მონახა, ბოლოს კი დაწერა „ბარათაშვილი“, ლირიკული მონოლოგი ორივე პოეტისა:

ვდგავარ და გულთან მიპყრია
[illegible] ქნარი,
მე ის [illegible] გულის
სისხლით, და არა მელნით,
[illegible]
[illegible] ფურცლით, რომ [illegible]
მერნით,

ჟღერს პოეტის ქნარი და მოწოდებად გაისმის ჩვენს თანამედროვეობაში. რა კარგად დაახასიათა გალაკტიონმა ბარათაშვილი: „ბევრი მგოსანთაგანი, რომელიც კი არის ღირსი ამ საღვთო სახელის ტარებისა, სამწუხაროდ, ჩვეულებრივად იმით კმაყოფილდება, რომ შეაქვთ ლექსებში სინათლე, ფერები და მუსიკა, მაგრამ ძალიან ძვირად ღვრიან მასში იმ საიდუმლოების წვეთებს, რომელნიც ისე უხვადაა დაფრქვეული ბარათაშვილის ლექსებში“.

ბარათაშვილი მუდამ ცოცხალია თანამედროვე ქართულ პოეზიაში, მისი შემართება და ფიქრი საფუძველია ბევრი ლექსისა. ი. გრიშაშვილის „სურნელება ძველი ხელნაწერებისა“ შთაგონებულია ბარათაშვილის ავტოგრაფებით და პოეტი პოეტს როგორც ცოცხალს ესაუბრება.

გ. ლეონიძის „განჯის ღამე“ გამოლაპარაკებაა პოეტთან იმ ტრაგიკულ ღამეს, როცა

უკვე გათავდა.. კმარა,
სიკვდილო,
შენთან კამათი და საუბარი...
აღარც განჯა და ავი ციება,
არც ანჩისხატის ვიწრო უბანი!
აღარც გამოვლილ უფსკრულთა
სიღრმე,
აღარც გადახდა მძიმე ვალისა,
აღარც საყურე...

გარდაიცვალა ბარათაშვილი უცხო მხარეში და უცბათ მის შუბლზე აციმციმდა მომავლის ვარსკვლავი, ამ ვარსკვლავით მოვიდა ჩვენამდე:

ჩვენ შევაგებეთ ახალი ქართლი,
ახალ ოცნებით, ახალ ბედითა,
დღეს შენც ანათებ მის
შარავანდედს —
ქართლის ბრწყინვალე წინამორბედი!

ასე მოვიდა ჩვენი დროის პოეზიაში ბარათაშვილი, როგორც მისი მონაწილე, საძირკვლის ჩამყრელი და მისი პოეტი.

ს. ჩიქოვანმა თანამედროვე ლირიკაში ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა „განჯის დღიურით“. ეს ლირიული დღიურია ბარათაშვილისა და ავტორისა. ტრაგიკული იყო უკანასკნელი მგზავრობა ბარათაშვილისა განჯას, ვინ იფიქრებდა, რომ იგი თბილისს ველარ დაუბრუნდებოდა. პოეტის სიკვდილით გამოწვეული ტკივილი ახლაც ისევე მწვავეა, როგორც ეპოქისათვის იყო მაშინ. „განჯის დღიური“ პოეტის ტრაგიკული თავგადასავალია.

ბარათაშვილი უახლესი ქართული მწერლობის პერსონაჟი და ჩვენი თანამედროვეობის უშუალო მონაწილეა. მისი ლექსები დღევანდელობით სუნთქავენ და დღეს აღაფრთოვანებენ მკითხველს, საუკუნენახევრის პოეტი ახალგაზრდულად მეტყველებს, როგორც გ. ლეონიძე იტყოდა,

შენი აჩრდილი ფრთის
მთაწმინდაზე,
შენი ნაქროლი აჩნია
თბილისს...

სოლომონ ხუციშვილი.

ლენინიზმი დამკვიდრდა როგორც ერთიანი ინტერნაციონალური მოძღვრება. როგორც ჩვენი ეპოქის მარქსიზმი, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სხვა მარქსისტული პარტიების გამოცდილებით. ეს კომუნისტთა იდეური დროშა, კომპასი და იარაღია. კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია ლენინური თეორიული მემკვიდრეობის ყოველმხრივი და ქმედითად შესწავლის ამოცანა.

პარტიული პროპაგანდა მოწოდებულია ღრმად აშუქებდეს ვ. ი. ლენინის როგორც დიდი მოაზროვნის, რევოლუციონერის, ჩვენი პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ბელადის ისტორიულ როლს, გვიჩვენებდეს ლენინური მოძღვრების მნიშვნელობას ძირეულ სოციალურ, პოლიტიკურ გარდაქმნათა წარმატებით განხორციელებისათვის, სოციალიზმისა და კომუნისტური მშენებლობისათვის, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისათვის, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ლენინური იდეური მემკვიდრეობის პროპაგანდაში უნდა ცხადვყოფდეთ მის განუყრელ კავშირს დღევანდელი დღის ამოცანებთან, ვაჩვენებდეთ, როგორ ახორციელებენ ლენინურ ანდერძს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი. ლენინიზმის დაუფლება აიარაღებს ჩვენს ხალხს რევოლუციურ გარდაქმნათა ისტორიული გამოცდილებით, ეხმარება წარმატებით წყვეტდეს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს.

ახალ სასწავლო წელს პარტიული სწავლების ყველა რგოლში მიზანშეწონილია კომუნისტთა ყურადღება მივაპყროთ ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა შესწავლას. ცხადია, ეს უნდა კეთდებოდეს არსებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების საფუძველზე. მაგრამ ამასთან სასარგებლოა გამოვყოფდეთ ლენინის იმ ნაშრომებს, რომლებიც რეკომენდებულია გასაუბრებებისათვის. უნდა გავაუმჯობესოთ კონტროლი მათი შესწავლისადმი. პარტიული სწავლების ყველა რგოლში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თვითგანათლებას. პარტიული ორგანიზაციები, პროპაგანდისტები, მეთოდისტები მოწოდებული არიან განუწყვეტლივ უნერგავდნენ მსმენელებს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებზე დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს.

ლენინიზმის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღება მიექცეს იმ ახალს, რაც შეუქმნიათ მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს მარქსიზმ-ლენინიზმის ლენინური მეთოდებისა და პრინციპების საფუძველზე თანამედროვე პირობებში. ლენინური ეკონომიური თეორიის დაუფლება, მაგალითად, ითვალისწინებს ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ღრმად შესწავლასთან ერთად პარტიის ეკონომიური პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლების, ახალი სამეურნეო რეფორმის არსის, მისი განხორციელების გამოცდილების ცოდნას.

პოლიტიკური მეცადინეობა დამაჯერებლად უნდა ცხადყოფდეს კომუნისტური მშენებლობის სოციალურ პრობლემებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის ზრდისათვის, მისი შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ღრმა იდეურობა, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულება ვლინდება უწინარეს ყოვლისა დავალებული საქმისადმი შეგნებული შემოქმედებითი დამოკიდებულებით. ჩვენი პროპაგანდის ეფექტურობის კრიტერიუმი, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, პიროვნების საზოგადოებრივ მოქმედებაში მდგომარეობს. ამჟამად, როცა ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო რეფორმა ხორციელდება, პირველ პლანზე დგება წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. პარტიული სწავლება მოწოდებულია ხელი შეუწყოს აქტიურობის ზრდას, ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარებას ამ საკითხების გადაწყვეტაში, ხელი შეუწყოს იმას, რომ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება თვითეული მუშაკის ქცევის ნორმა ხდებოდეს.

პოლიტიკური პროპაგანდისადმი მოთხოვნები ჩვენს დროში განუწყვეტლივ იზრდება. პარტიული განათლების სისტემაში თვითეულ მეცადინეობას უნდა განასხვავებდეს იდეური სიმახვილე, პოლემიკურობა, შემტევი სულისკვეთება. ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლა ემყარება უწინარეს ყოვლისა მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნას, იდეურ რწმენას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა — პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის შესწავლა აგებულ უნდა იქნას ბურჟუაზიული ცრუმეცნიერებისადმი დაპირისპირებაზე, მისი უსაფუძვლობის მხილებაზე, კაპიტალისტური წყობილების შინაგან წინააღმდეგობათა ცხადყოფაზე.

ცხოვრება ამისათვის უმდიდრეს მასალას გვაძლევს. ყოველდღე სულ უფრო დამაჯერებლად იჩენს თავს იმპერიალიზმის რეაქციული არსი, მისი განწირულობა. კლასობრივი ბრძოლები კაპიტალის ქვეყნებში, ამერიკის იმპერიალიზმის დამარცხება ვიეტნამში, ფინანსური კრიზისები, როგორც კაპიტალიზმის საყოველთაო კრიზისის გაღრმავების ახალი დადასტურება, რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უფართოესი გაქანება — ყოველივე ეს თეორიის ცოცხალი ილუსტრაცია, ცხოვრების დიდი სკოლაა. შეუწყნარებელია იდეოლოგიურად ნეიტრალური სწავლება, უფერული მეცადინეობა, რომელიც ადამიანებს მაღალ იდეურ თვისებებს არ უნერგავს. პოლიტიკური პროპაგანდა ავიყვანოთ ახალ მოთხოვნათა დონეზე — ეს ნიშნავს უნარიანად შევაიარაღოთ მსმენელები მტკიცე და ღრმა ცოდნით, გავამდიდროთ ისინი პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილებით.

ერთი სიტყვით, ლაპარაკია იმაზე, რომ პოლიტიკური პროპაგანდა უნდა შეესაბამებოდეს თავის მთავარ დანიშნულებას — ზრდიდეს მისწრაფებას იმისადმი, რომ კომუნისტური მშენებლობის რთული პრობლემების გადაწყვეტისას უნარიანად იქნას გამოყენებული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება.

თეორიის დიდმნიშვნელოვან დებულებათა შესწავლა კი ყოველთვის როდი წარმოებს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირით, ზოგჯერ მათ განიხილავენ როგორც გარკვეული დასკვნების ჯამს და არა როგორც კომუნისტური მშენებლობის საარსებო ამოცანათა ღრმად გააზრებისა და წარმატებით გადაწყვეტის ქმედით მეთოდს. მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი ასეთი „განმანათლებლური“ მიდგომა მეტად დაშორებულია სკკპ XXIII ყრილობის მოთხოვნებს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

სერიოზული ნაკლოვანებებია პოლიტიკური სწავლების მეთოდებში. მეცადინეობა ზოგჯერ ისეა აგებული, რომ ხელს არ უწყობს მსმენელთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, პირველწყაროებსა და პოლიტიკურ ლიტერატურაზე ღრმად მუშაობას. ბევრი კომუნისტი სჯერდება პოპულარული სახელმძღვანელოებისა და სასწავლო დამხმარე წიგნების კითხვას, იშვიათად მიმართავს უშუალოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, პარტიის გადაწყვეტილებებსა და დოკუმენტებს.

პარტიული მუშაკები, პროპაგანდისტები მოწოდებული არიან განუწყვეტლივ ეუფლებოდნენ პარტიული პროპაგანდის ლენინურ სტილსა და მეთოდებს. გასული სასწავლო წლის შედეგების შეჯამებისას საჭიროა უფრო ღრმად გაუკეთდეს ანალიზი გაწეული მუშაობის პლუსებსა და მინუსებს, უფრო ღრმად იქნას გათვალისწინებული კომუნისტებისა და უპარტიოების ინტერესები და მოთხოვნილებები.

III.

მომავალი სასწავლო წელი უნდა აღინიშნოს ახალი ძიებით მარქსისტულ-ლენინური განათლების სრულყოფის საქმეში, პროპაგანდისტთა კადრების, ყველა იდეოლოგიური მუშაკის მომზადებისა და გადამზადების შემდგომი გაუმჯობესებით.

მუდმივ ზრუნვას მოითხოვს ხელმძღვანელი კადრების პოლიტიკური მომზადება. საჭიროა, რომ ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი ზუსტად გაერკვეს იმაში, რომ მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება განუყრელად დაკავშირებულია პარტიის როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი ძალის მთელ საქმიანობასთან და დამყარებულია იდეოლოგიის, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთიანობაზე. თვითეული ხელმძღვანელი უწინარეს ყოვლისა თეორიულად განათლებული მარქსისტ-ლენინელი უნდა იყოს. მისი იდეური სიმწიფის შესახებ ხალხი მსჯელობს იმის მიხედვით, თუ რამდენად შესწევს მას უნარი ახორციელებდეს პარტიის პოლიტიკას, მომჭირნეობით უძღვებოდეს მეურნეობას, ხედავდეს პერსპექტივას, მუშაობდეს ადამიანებთან, უჩვენებდეს პირად მაგალითს მთელ თავის საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, პრაქტიკულად ახორციელებდეს სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ ერთი-ორი წლის განმავლობაში ძირითადად დაამთავრონ კომუნისტებისა და უპარტიო აქტივის სწავლება დაწყებითი პოლიტსკოლების პროგრამით, ამით შექმნან მტკიცე ბაზა მათი გადასვლისათვის პოლიტიკური განათლების საშუალო რგოლში. ამასთან ერთად დგება ამოცანა შემდგომ სრულვყოთ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში სწავლების პროგრამა და მეთოდიკა, უწინარეს ყოვლისა იმ კომუნისტების განათლებისა და თეორიული მომზადების დონის გათვალისწინებით, რომლებმაც დაწყებითი პოლიტსკოლები დაამთავრეს. აუცილებელ შემთხვევებში ალბათ მიზანშეწონილია გავადიდოთ თეორიის შესწავლის ვადები ნაკლებად მომზადებული ამხანაგებისათვის, შევქმნათ სკოლები მარტო ცალკეული საგნების, ვთქვათ, პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის შესასწავლად. ყველა შემთხვევაში საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს იმას, რომ კომუნისტებს ვასწავლოთ პოლიტიკური ლიტერატურის დამოუკიდებლად დაკონსპექტება, რასაც სპეციალური მეცადინეობა უნდა მიეძღვნას.

რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ამხანაგების ნაწილი, რომლებიც დაწყებითს პოლიტიკურ სკოლებს ამთავრებენ, სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეძლებს განაგრძოს სწავლა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან იზრუნონ მათთვის ლექციების სპეციალურ ციკლებზე, კონსულტაციებზე სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარების საკითხების შესახებ, ჩაატარონ მათთან სისტემატური გასაუბრებანი, აქტიურად ჩააბან პოლიტიკურ მუშაობაში.

მომავალ სასწავლო წელს პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მარქსისტულ-ლენინური განათლების უმაღლეს რგოლსაც. გადაჭრით უნდა დავძლიოთ აქა-იქ შექმნილი ის პრაქტიკა, რომ არადიფერენცირებულად უდგებიან ამ რგოლში მოსწავლეებს. უნდა მივაღწიოთ ინტელიგენციის, სპეციალისტთა სხვადასხვა ჯგუფების პოლიტიკური სწავლების მკაფიო თანმიმდევრულობას. მთელ მუშაობას ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში უნდა წარვმართავდეთ მისი მეცნიერული, პროფესიული და სულიერი ინტერესების გათვალისწინებით, ვავითარებდეთ იმის შინაგან მოთხოვნილებას, რომ ბეჯითად ეუფლებოდნენ რევოლუციურ თეორიას, ვზრდიდეთ მას მუდმივი ძიების, ცოდნის განუწყვეტელი სრულყოფის სულისკვეთებით. უნდა შევქმნათ საჭირო პირობები, რომ მეცნიერულ და იდეოლოგიურ მუშაკებს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებს, პროპაგანდისტებსა და მეთოდისტებს შეეძლოთ სისტემატურად ეუფლებოდნენ მეცნიერული კვლევის მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას, ამაღლებდნენ პარტიული პროპაგანდის იდეურ დონეს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეთოდოლოგიურ და პრობლემურ თეორიულ სემინარებს. მათს ამოცანას შეადგენს რევოლუციური თეორიის ცალკეული საკითხების შესწავლა და განხილვა, პრაქტიკული გამოცდილების განზოგადება. სწავლების ეს ფორმა, რომელიც მოწოდებულია სრულყოფდეს მარქსისტული დიალექტიკური მეთოდის დაუფლების ხელოვნებას, განსაკუთრებით პოპულარულია მეცნიერ მუშაკთა შორის.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებას.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა უფროს თაობათა ღირსეული და საიმედო მემკვიდრეა. თავის 50 წლის იუბილეს ლენინური კომკავშირი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის დიდი აღმავლობის ვითარებაში ხვდება. ახალგაზრდა თაობა ბეჯითად და მიზანდასახულად სწავლობს კომუნიზმს. პარტიული ორგანიზაციების ვალია ყველა ღონისძიებით უჭერდნენ მხარს ამ მისწრაფებას. კომკავშირში სამუშაოდ გზავნიდნენ თავიანთ საუკეთესო, გამოცდილ კადრებს, ყოველდღიურად ზრუნავდნენ ახალგაზრდობის იდეური წრთობისათვის.

კომკავშირული პოლიტიკური განათლების მთავარი ამოცანა უნდა გახდეს ახალგაზრდა თაობის ფართო ფენებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის ანბანის სწავლება. ბეჯითად უნდა ვაბამდეთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფუძემდებელთა შრომების შესწავლაში, უნდა ვიზრუნოთ მჭიდრო თანამიმდევრობაზე პარტიულ-პოლიტიკურ სწავლებასა და კომკავშირულ სწავლებას შორის, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ შევქმნათ სტაბილური სახელმძღვანელოები, სასწავლო და თვალსაჩინო დამხმარე მასალები ახალგაზრდობის წრეების, სკოლების, სემინარებისა და უნივერსიტეტებისათვის.

მასობრივი პროპაგანდა უნდა ითვალისწინებდეს საბჭოთა ადამიანების გაზრდილ პოლიტიკურ და შრომით აქტივობას, მათი განათლებისა და კულტურის დონეს, თანამედროვე ინტერესებს. პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან ყოველდღიურად ხელმძღვანელობდნენ სახალხო უნივერსიტეტებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური კლუბების, კომუნისტური შრომის სკოლებისა და ეკონომიური სკოლების მუშაობას, იღებდნენ ზომებს ლექტორიუმებისა და კინოლექტორიუმების ქსელის გაფართოებისა და მათი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ამაღლებდნენ პროპაგანდის ისეთი აღიარებული ფორმების მუშაობის დონეს, როგორიც არის ლენინური კითხვა, კითხვა-პასუხის საღამოები. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ღონისძიებათა მაღალ იდეურ და მეცნიერულ დონეს ვახამებდეთ პოპულარობასთან და მისაწვდომობასთან, მსმენელთა ინტერესს პოლიტიკური და მორალური პრობლემების ფართო წრისადმი იდეური რწმენის აღზრდასთან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ ვ. ი. ლენინის დაბადების მეასე წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებებისადმი. ყოველი ეს ღონისძიება უნდა ხორციელდებოდეს მაღალ იდეურ დონეზე, განირჩეოდეს ნამდვილი შთაგონებით. საიუბილეო საოქტომბრო წლის პოლიტიკური პროპაგანდის მდიდარი და მრავალმხრივი გამოცდილება დღეს განმტკიცებულ და გამდიდრებულ უნდა იქნას ახალი აღმავლობით მთელ იდეოლოგიურ მუშაობაში.

ჩვენი პარტია ძლიერია თავისი თეორიული სიმწიფით, ბოლშევიკური ორგანიზებულობით, რევოლუციური დისციპლინით, თავისი რიგების მონოლითური ერთიანობით, მთელ საბჭოთა ხალხთან ურყევი შეკავშირებით. მომავალი სასწავლო წელი პოლიტიკურ განათლებაში მუყაითი ლენინური სწავლის წელია. იგი დიდმნიშვნელოვანი პერიოდი უნდა გახდეს ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური შეგნებულობისა და შრომითი აქტივობის ამაღლებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გამარჯვებებით დაგეწყოთ!

საიუბილეო წლის პირველი ლექციები

წელს ოქტომბერში ჩვენი უნივერსიტეტი ორმოცდაათი წლის იუბილეს იხდის. ეს ქართული მეცნიერების იუბილეა, იუბილეა ეროვნული კულტურისა.

ორმოცდაათი წლის წინათ, პირველი სექტემბრის დილით ამ ეზოში შემოდიოდნენ და უნივერსიტეტის კიბეებს კრძალვით მიუყვებოდნენ, ახლადგახსნილი უნივერსიტეტის პირველი სტუდენტები, რომელთაგან დღეს ბევრი სახელმოხვეჭილი მეცნიერია.

...და აი მოდის ახალი თაობა.

უნივერსიტეტის ეზო და აუდიტორიები აახმიანა ასობით ჭაბუკმა და ქალიშვილმა...

ეს ბიჭები, საქმიანად რომ ფუსფუსებენ, ფილოსოფიისა და ფიზიკის ფაკულტეტების სტუდენტები არიან. ისინი ორი თვეა მუხლმოუღლელად მუშაობენ მშობლიური უნივერსიტეტის პირველი კორპუსის რემონტსა და კეთილმოწყობაზე. განსაკუთრებით აღნიშნავენ ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტების გ. ქორთუას, გ. ხოხობაშვილის, ვ. კილანავას და სხვათა მუშაობას.

უნივერსიტეტის სტუდენტობა 230 კაცის რაოდენობით მთელი ზაფხული შრომობდა უნივერსიტეტის ახალი კორპუსების მშენებლობაზე. ერთ-ერთი მათგანი უკვე მზად არის და საიუბილეო დღეებში გაიხსნება. ეს ახალი კორპუსი დაეთმობა მექანიკა-მათემატიკისა და ეკონომიური ფაკულტეტების სტუდენტებს.

უნივერსიტეტის 50 სტუდენტს ენგურჰესის მშენებლობაში შეჰქონდათ თავისი წვლილი.

უნივერსიტეტს წელს თურმე 2.700-მდე ახალგაზრდა ეწვია. აქედან, ისევე როგორც სხვა დროს, წელსაც ყველაზე მეტი სტუდენტი იქნა მიღებული ფილოლოგიის, ეკონომიურ და ფიზიკის ფაკულტეტებზე. ბევრი იყო მსურველი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმედი ყველას არ გაუმართლდა. ალბათ საჭიროა უფრო მეტის გაკეთება, მეტი მომზადება, რადგან უნივერსიტეტში რჩეულთა შორის რჩეულები ხვდებიან ხოლმე.

აი შემოდის ორი ახალგაზრდა.

— პირველკურსელები ხომ არა ხართ? — ვეკითხები.

— დიახ. ეკონომიური ფაკულტეტისა. — მიპასუხებს ერთი მათგანი

— გვარი?

— მინაშვილი. ავთანდილ მინაშვილი. ვანის რაიონიდან. ეს ჩემი მეგობარია კასპიდან. ვახტანგ ამირეზაშვილი. ერთ ჯგუფში ვართ. უკვე მოვასწარით დამეგობრება.

— რაღა თქმა უნდა, კმაყოფილი ხარ...

— მაგას რა კითხვა უნდა. სამი წელიწადია ვაბარებ და წელს, როგორც იქნა, ამისრულდა ნატვრა, — მეუბნება ვახტანგ ამირეზაშვილი.

ვემშვიდობები პირველკურსელებს, რომლებიც მხნედ, წელგამართული მიაბიჯებენ შესასვლელისაკენ.

ამათ კი, ახლა რომ მხვდებიან, უკვე ვიცნობ — ფილოლოგები არიან, ხევსური ბიჭები. რაღაცაზე კამათობენ.

მესამე სართულზე ერთ-ერთ აუდიტორიაში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და პირველი კურსის სტუდენტებს მოუყრიათ თავი.

70-ზე მეტი პირველკურსელი დღის დასწრებულზეა, 90-ზე მეტი საღამოზე — აი ამ ფაკულტეტის წლევანდელი შევსება.

პირველკურსელებთან შეხვედრა ტრადიციად აქცია ფაკულტეტმა. დეკანი პირველკურსელებს ულოცავს სტუდენტობას და წარმატებას უსურვებს სწავლასა და ცხოვრებაში.

მეორე კორპუსი ფიზიკოსებითა და მათემატიკოსებით, ქიმიკოსებითა და კიბერნეტიკოსებით ივსება. მესამე კორპუსი — მომავალი ბიოლოგებით...

...პირველი ზარი. ერთი წუთით უფრო ახმაურდა დერეფნები. პირველკურსელები მიაშურებენ აუდიტორიებს. რამდენიმე წუთი, და მყუდროება მეფდება დერეფნებში.

დაიწყო პირველი ლექცია.

ნახევარსაუკუნოვანი უნივერსიტეტი ატარებს საიუბილეო წლის პირველ ლექციებს.

გამარჯვებებით დაგეწყოთ, მეგობრებო!

ვ. მარდალეიშვილი.

ამ ახალგაზრდებმა ფრიადებზე ჩააბარეს მისაღები გამოცდები უნივერსიტეტში — ისინი ფიზიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები არიან. სურათზე: (მარცხნიდან) ლ. ფარულავა, დ. მგალობლიშვილი, კ. ყუბანეიშვილი და თ. ქვათაძე.

ფოტო ბ. თარხნიშვილისა.

ქართული მარკით — უცხოეთში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). მაღალხარისხოვან და მრავალფეროვან პროდუქციას უშვებენ ზესტაფონის საწარმოები. ზესტაფონური ფეროშენადნობი, კაბელი, მარმარილო, ღვინო მოწონებით სარგებლობს უცხოეთში. მაღალხარისხოვანი ლითონი ზესტაფონის მარკით მიდის უცხოეთის 26 ქვეყანაში. მეტალურგები ვადამდე ასრულებენ არა მარტო საბჭოთა ქვეყნის ქარხნების, არამედ უცხოეთის შეკვეთებსაც.

ზესტაფონელმა მეკაბელეებმა წელს პირველად მიიღეს საზღვარგარეთელი მეგობრების დაკვეთები. ტროპიკული დამზადების დიდძალი კაბელი გაიგზავნა ინდოეთში, სირიაში, ავღანეთში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

თანდათან იზრდება უცხოეთის სახელმწიფოების მოთხოვნა ჭიაურ ფერად მარმარილოზე.

ნავსადგურელი ახალმოსახლენი

სულ უფრო უმჯობესდება მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები ქალაქ ფოთში.

უკანასკნელ ხანს მარტო ნავსადგურელთათვის აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 11 ახალი მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 12.454 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

ამ ბოლოს საექსპლოატაციოდ გადაეცა 48-ბინიანი სახლი, ხოლო წლის ბოლომდე მწყობრში ჩადგება კიდევ ორი მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი სახლი, რომლებიც ნავსადგურის ქუჩაზე შენდება.

ა. დარსაძე.

ცისფერი ეკრანი — მთიან სოფლებში

წალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონის ბევრი მთიანი სოფელი მოკლებული იყო სატელევიზიო გადაცემებს. და აი ენგურჰესელებმა სოფელ ჩქვალერში, ლეშამგეს უბანში მაღალ გორაკზე აღმართეს სატელევიზიო გადაცემის ხაზი, რომლითაც სარგებლობენ ჯვარის, ჭალეს, ლიის და ჩქვალერის მშრომელები.

მარტო ჩქვალერში — რაიონის ამ შორეულ და მაღალმთიან სოფელში მოკლე ხანში 80-ზე მეტმა კოლმეურნემ შეიძინა ტელევიზორი.

დიდების კედელი

თერჯოლა. (საკ. კორ.). გოდოგნის კოლმეურნეობის გამგეობა და სასოფლო საბჭო ზრუნავენ დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად. ამას წინათ სოფლის ცენტრში აღმართეს შინმოუსვლელთა სამარადისო დიდების კედელი.

მას აქვს წარწერა: „1941-1945 წლის სამამულო ომში გმირულად დაღუპულ გოდოგნელ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად“. წარწერის ქვეშ ამოკვეთილია მწუხარე ქართველი დედის ბარელიეფი. დიდების კედელთან მომსვლელები იხსენიებენ თანასოფლელთა დაუვიწყარ სახელებს.

მწყემსებთან — იალაღებზე

ზუგდიდის რაიონის 16 კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმების პირუტყვია მაღალმთიანი სვანეთის საძოვრებზე. ამ დღეებში მწყემსებს ესტუმრნენ ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს, გაზეთ „მებრძოლის“ რედაქციისა და კულტურის რაიონული განყოფილების მუშაკები.

საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორებმა ა. გულორდავამ და დ. ჭითანავამ მწყემსებს წაუკითხეს საინტერესო ლექციები. შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელისა და ოქტომბრის კულტურის სახლის მხატვრულმა ბრიგადებმა.

ბ. ალშიბაია.

ნაირ-ნაირი

კონსულტაცია

ხუთდღიანი სამუშაო კვირა და მივლინება

გაზეთ „ტრუდს“ მკითხველმა ამხ. ზინკევიჩმა ამას წინათ ასეთი შინაარსის წერილი მისწერა:

პატივცემულო რედაქცია! ჩვენს საწარმოში შემოღებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა. მივლინებაში ყოფნისას კვირაში ექვს დღეს ვმუშაობდი. შინ დავბრუნდი პარასკევს დილით, სამუშაოზე კი გამოვედი ორშაბათს. ადმინისტრაციამ შაბათისა და კვირის სამივლინებო არ ამინაზღაურა, არ მომცა მივლინებაში ყოფნისას შაბათს მუშაობის საზღაური, თანაც მითხრეს, რომ სამუშაოზე პარასკევს უნდა გამოვსულიყავი. სწორია თუ არა ეს?

ქვემოთ ვაქვეყნებთ რედაქციის პასუხს.

ადმინისტრაცია უთუოდ სწორად მოქცეულა. როგორც ცნობილია, მივლინებად ითვლება მუშაკის გამგზავრება საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) ხელმძღვანელის განკარგულებით სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად მუდმივი სამუშაო ადგილის გარეთ. მივლინებაში ყოფნის ვადა განისაზღვრება მივლინების დღეების ფაქტიური რიცხვის მიხედვით წასვლის დღიდან დაბრუნების დღემდე.

ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შემდეგ მუშები და მოსამსახურეები, ისევე როგორც ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს, კვირაში 41 საათს შრომობენ. თუ ხუთდღიანი კვირის გრაფიკით მომუშავე კაცი მივლინებაში გაიგზავნა საწარმოში, სადაც ექვსდღიანი კვირაა, მან უნდა დაიცვას იმ საწარმოს მუშაობის რეჟიმი, რომელშიც გაიგზავნა.

ამ შემთხვევაში მუშაობის რეჟიმი და დასვენების დღეების რაოდენობა იცვლება — შაბათი სამუშაო დღეა და დასვენების დღე კვირაა ნაცვლად ორი დასასვენებელი დღისა. მაგრამ კვირაში სამუშაო დროის საერთო ხანგრძლივობა ერთნაირი რჩება. ამიტომ დასვენების დამატებითი დღეები მივლინებაში ყოფნის დროისათვის და მივლინებიდან დაბრუნებისას მუშასა და მოსამსახურეს არ ეძლევა.

თუ მივლინების ადგილზე საწარმო ხუთდღიანი სამუშაო კვირით მუშაობს, ხოლო მუშაკი საწარმოო პირობების გათვალისწინებით ან პირადი ინიციატივით დავალებას დასვენების დღეებში ასრულებს, მას მივლინებიდან მუდმივი სამუშაოს ადგილზე დაბრუნებისას დასვენების დამატებითი დღეები აგრეთვე არ ეძლევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მივლინებულებმა უქმე დღეები და ყოველკვირეული დასვენების დღეები მივლინების ადგილას უნდა გამოიყენონ. არავითარი დამატებითი ანაზღაურება ამ დღეებში მუშაობისათვის მათ არ ეძლევა.

მივლინებაში მუშაობისათვის საზღაური ეძლევათ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ადმინისტრაცია სპეციალურად გზავნის მუშაკს დავალების შესასრულებლად მის გამოსასვლელ დღეებში ან მუშაკი მივლინებაში ყოფნის პერიოდში იღებს თავისი ადმინისტრაციისაგან დავალებას შეასრულოს გარკვეული სამუშაო დასვენების დღეებში.

კანონი არ ითვალისწინებს სამუშაოდან განთავისუფლებას მივლინებიდან დაბრუნების დღეს. ამიტომ, თუ თქვენ, ამხ. ზინკევიჩ, სამუშაო დროს დაბრუნდით, მოვალე იყავით გამოცხადებულიყავით თქვენს საწარმოში. მაგრამ ადმინისტრაციას უფლება აქვს მოგცეთ დრო შინ წასვლისათვის სამუშაო დღის დამთავრებამდე.

მივლინებიდან სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ ან გამოსასვლელ დღეს დაბრუნებისას მშრომელი თავისი მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგეს მომდევნო სამუშაო დღეს. დაბრუნების შემდეგ და სამუშაოზე გასვლამდე მუდმივი სამუშაოს ადგილას გატარებული დრო მივლინების პერიოდში არ ჩაითვლება და არ ანაზღაურდება (მაგალითად, შაბათი და კვირა).

სპორტი

ოქროს მედალი თინა ლეკვეიშვილს

მცურავთა ასპარეზობას ცახკაძორში ჯერ რეკორდები არ მოუცია, მაგრამ საერთო შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. თუ სტარტზე ს. **ბელიც-გეიმანის** სახით გავიცანით პირველი ჩემპიონი, მეორე დღეს ერთბაშად ოქროს ცხრა მედალოსანი მოგვევლინა.

ამ დღის ყველაზე სასიამოვნო სიურპრიზი იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლის 14 წლის **თინა ლეკვეიშვილის** გამარჯვება 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში—1 წუთი და 10,7 წამი. აქამდე არცთუ ცნობილმა გოგონამ საერთო ყურადღება მიიპყრო წინასწარი და ნახევარფინალური ასპარეზობების შედეგებით. მან ფინალშიც გაგვახარა და, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ჩემპიონი გახდა.

თ. **ლეკვეიშვილი** საქართველოდან პირველია, რომელიც მცურავ ქალთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თ. ლეკვეიშვილი მეხიკოშიც გაგვახარებს.

პირველად ჩემპიონის წოდება ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში მოიპოვა აგრეთვე პოლტაველმა **ე. მიხაილოვამ**. აი დანარჩენი ჩემპიონები: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში **ნ. უსტინოვა** (ტაშკენტი) და **ლ. ილიჩოვი** (მოსკოვი). 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში—**გ. პროზუმენშჩიკოვა** (მოსკოვი) და **ვ. კოსინსკი** (ლენინგრადი).

სურათებზე: მარცხნივ — თ. **ლეკვეიშვილი** გულაღმა ცურვის მომენტში, ზემოთ — თბილისელი **ო. იოკამიძე** ასპარეზობის დროს.

ფოტო **ო. ბელაშვილისა.**

ერთმა გოლმა გადაწყვიტა...

გუშინ ლუჟნიკში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში. პაექრობა ჰქონდათ ძველ მეტოქეებს — დედაქალაქის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“.

პირველი ტაიმი ტემპიან, ინიციატივიან ბრძოლაში წარიმართა. თუ დასაწყისში ერთგვარ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, შემდეგ დინამოელებმა კონტრთამაში შექმნეს და იერიშებმაც ორგანიზებული სახე მიიღო. იყო თუ არა საგოლე მომენტები? შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებრივზე მეტიც. მაგრამ 45 წუთი ისე ამოიწურა, რომ მეტოქეებს კარი არ აუღიათ.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე ნოდიას ძლიერი დარტყმა ძელმა იხსნა. ამის შემდეგ სპარტაკელთა ერთ-ერთი იერიშისას სტუმრები დაჯარიმდნენ და **როჟკოვმა** ანგარიში გახსნა. ამ გოლმა ძირფესვიანი გარდატეხა შეიტანა თამაშში, მასპინძლები უფრო დამაჯერებლად მოქმედებდნენ, დინამოელთა თამაშში კი იგრძნობოდა ნერვიულობა.

ერთმა გოლმა გადაწყვიტა... გაიმარჯვეს სპარტაკელებმა.

დინამოელთა რიგებში იყვნენ— **ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ილიადი), ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.**

◆

მატჩები და შედეგები

გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის მესამე ქვეჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობის მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

ტაგანროგის „ტორპედო“ — ტყიბულის „მეშახტე“ 1:1, ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — ბათუმის „დინამო“ 1:0.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 5 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ.)	27	16	9	2	42-17	41
„სპარტაკი“	25	15	5	5	41-26	35
„ტორპედო“ (მ.)	25	11	10	4	38-21	32
ცსკა	25	12	7	6	31-21	31
„დინამო“ (მნ.)	25	11	8	6	28-21	30
„ლოკომოტივი“	25	10	10	5	27-20	30
„დინამო“ (თბ.)	25	10	9	6	29-16	29
„დინამო“ (მ.)	27	11	7	9	35-27	29
„ჩერნომორეცი“	25	10	9	6	35-29	29
„ზენიტი“	25	7	11	7	23-31	25
„შახტიორი“	25	7	10	8	26-25	24
სკა	25	8	7	10	33-34	23
„კრ. სოვეტოვი“	25	7	8	10	16-19	22
„ნეფტჩი“	25	6	8	11	22-33	20
„ზარია“	26	6	8	12	14-32	20
„არარატი“	25	7	5	13	23-34	19
„კაირატი“	25	5	7	13	17-28	17
„ტორპედო“ (ქ.)	26	5	7	14	19-31	17
„პახტაკორი“	25	5	7	13	26-46	17
„დინამო“ (კირ.)	25	4	8	13	15-29	16

დღეს მოედნებზე

საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის ექვსი მატჩი გაიმართება დღეს ფეხბურთში.

გათამაშების ლიდერს კიევის „დინამოს“ ამჯერადაც საკუთარ მოედანზე ექნება თამაში. მისი მეტოქეა კიროვაბადის „დინამო“. ასევე საკუთარ მოედანზე ითამაშებს ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთი წარმომადგენელი მოსკოვის „ტორპედო“ დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდთან. მეტად პასუხსაგები მატჩი მოელის ქუთაისის „ტორპედოს“ კუიბიშევში „კრილია სოვეტოვთან“.

აი დანარჩენ შეხვედრათა წყვილები — „დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“ (დონეცკი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ნეფტჩი“ (ბაქო), „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ზარია“ (ლუგანსკი).

ოთხი საგზურისათვის

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში დაიწყო უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი ტურნირი წყალბურთში ექვსი გუნდის მონაწილეობით. გამარჯვებულთა ოთხეული „ა“ კლასის მეორე ეშელონის ამდენივე აუტსაიდერთან ერთად გაითამაშებს დასკვნითს ტურნირს.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ სტარტზე დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ 7:5. კიევისა და ტაშკენტის „ბურევესტნიკის“ გუნდების შეხვედრაში წარმატება კიეველებს ხვდათ 6:5. ალმა-ატის „ბურევესტნიკისა“ და გომელის „ვოდნიკის“ მატჩის შედეგია 8:3 ალმაატელთა სასარგებლოდ.

ჩემპიონატი — თბილისში

ახლა საბჭოთა ჩოგბურთელებს შესვენება აქვთ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბრძოლები კორტებზე ამოიწურა. ჩვენი ქვეყნის მომავალი პირად-გუნდური პირველობა გაიმართება ჩემპიონის — **ა. მეტრეველის** სამშობლოში — თბილისში. იგი 17 ოქტომბერს დაიწყება და 8 ნოემბრამდე გასტანს.

ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 250-მდე სპორტსმენი. მათ შორის არიან სსრ კავშირის პირველობის პრიზიორები, სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა ჩემპიონები.

ამ დღეებში დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა. გაიმარჯვეს **ვ. ეგოროვმა** და **დ. ბაილემ**. პროფკავშირთა პირველობაზე წარმატება ხვდათ **ა. ვოლკოვსა** და **კ. სიმპსონს**.

ოვალური ბურთით

მოსკოვსა და ლენინგრადში დაიწყო ჩვენი ქვეყნის უძლიერეს რეგბისტთა გუნდების შეჯიბრება. ეს არის პირველი საკავშირო ჩემპიონატი, სადაც ოქროს მედლები თამაშდება. შესარჩევ და ზონალურ ასპარეზობებში მონაწილეობდა სამოცამდე კოლექტივი. რვა უძლიერესი გუნდი გაყოფილია ორ ჯგუფად. თბილისის „ლოკომოტივი“ გამოდის მოსკოვის ჯგუფში.

პირველ მატჩში თბილისის ლოკომოტიველებმა დაამარცხეს კაუნასის „პოლიტექნიკი“ 11:6.

ვინ გაემგზავრება მეხიკოში?

საბჭოთა შტანგისტების უკანასკნელმა გამოსვლებმა მეტად მაღალი შედეგები მოგვცა. ფენომენალური იყო ვ. კურენცოვის შედეგი. მძიმე წონაში ლ. ჟაბოტინსკი აღიარებულია მსოფლიოში ყველაზე ღონიერ ადამიანად. ამიტომ ოლიმპიურ ნაკრებში ამ ორი ძალოსნის შეყვანა არავის გაჭვირვებია.

გარდა ამ შტანგისტებისა, ოლიმპიური საგზურები უზრუნველყოფილი აქვთ გ. ჩეტინს, ე. სმირნოვს, ვ. ბელიაევს, ბ. სელიცკის, ი. ტალტსს.

რამდენიმე სტრიქონით

☐ **ალუშტაში** დაიწყო ევროპის მეორე ჩემპიონატი წყალქვეშა სპორტში. მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ესპანეთის, პოლონეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა კოლექტივები. უკვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. ფარფლებით ჩქაროსნულ ცურვაში ჩემპიონები გახდნენ მოსკოველი **ვ. კუზნეცოვა** და ტალინელი **ბ. პოპოვი**.

☐ **ჰავანაში გრძელდება გენიალური კუბელი მოჭადრაკის ხოსე-რაულ კაპაბლანკას ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი. ერთპიროვნულ ლიდერობას კვლავ საბჭოთა გროსმაისტერი შტეინი ინარჩუნებს, რომელსაც 3 ქულა აქვს. მესამე ტურში შტეინმა დაამარცხა ო' კელი. მეორე საბჭოთა გროსმაისტერმა ანტოშინმა მოუგო დამიანოვიჩს.**

☐ **ლონდონში** დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩი ინგლისისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრის ანგარიშია 155:155, რაც იშვიათი შემთხვევაა. ინგლისელი **შ. შერვუდი** სიგრძეზე გადახტა 6 მეტრსა და 59 სანტიმეტრზე და უკან ჩამოიტოვა მსოფლიოში აღიარებული მძლეოსანი **ი. კირშენშტეინი**. საჩვენებელ გარბენაში ავსტრიელმა **რ. კლარკმა 5.000** მეტრი გაირბინა 13 წუთსა და 27,8 წამში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

6 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — ბისის ჰანგები, 08.30 — საოპერეტო მუსიკა, 09.30 — ქართული რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.50 — რუსული რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — ნ. გუდიაშვილი. სამმაგი კონცერტი და საზეიმო უვერტიურა, 12.30 — საუბარი „პირველი ინტერნაციონალის ბრიუსელის კონგრესის ასი წლისთავი“, 12.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — კონცერტი-შეხვედრა კომპოზიციისათვის თემაზე ნიკოლოზ ბარათაშვილი და მუსიკა“, 14.00 — ბერტრამი. ორატორია „ჩვენ, კომკავშირელები“ (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები “(გადაცემა სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — პ. ვლადიგეროვი. საკონცერტო სონატინა, 17.35 — მოსწავლეთათვის. ციკლიდან „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“. საუბარი „მეცნიერება და ფანტასტიკა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — მ. ბალანჩივაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „დარეჯან ცბიერი“, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — რუს კომპოზიტორთა რომანსები ს. ლემეშევის შესრულებით, 19.00 — ნარკვევი „შრომის წითელი დროშა“!, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ც. ფრანკი. სიმფონიური პოემა „ჯინები“, 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — საუბარი „ტექნიკური პროგრესის სათავეებთან“, 20.45 — პიესები ბალალაიკისათვის, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო საუბარი „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთა კითხვა“, 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ლირიკული სიმღერები და ვალსები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

5 სექტემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი „არა და დიახ!“, 12.30 —„ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი (4 სექტემბრის გადაცემის გამეორება), 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — ახალი ამბები, 18.30 — განცხადებები, 18.35 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. „ცეროდენას ეკრანი“. 2. „დიდების ორდენის კავალერთა კლუბი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „ეთერში — „ახალგაზრდობა“, 20.15 — მხატვრული ფილმი „არა და დიახ!“, 21.30 — „დრო“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ქართული გალობა“ — მუსიკალური გადაცემა, 22.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.20 — პროგრამა მეორე დღისათვის.

თეატრები

5 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი (მე-3 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული** — ფსკერზე (მე-10 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **ფილარმონიის საზაფხულო** (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტრადო სტუდია „ჩვენი სახლი“) — მამების სიცილი (სად. 8 ს.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ПРАВДА
ИЗВЕСТИЯ
Сельская ЖИЗНЬ
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
ТРУД
კომუნისტი
ЗАРЯ ВОСТОКА

ჟურნალ-გაზეთები — ყველა ოჯახს!

დაიწყო ხელმოწერა!

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს პრესის გავრცელების („სოიუზპეჩატის“) სამმართველო იუწყება,

რომ საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა **1969** წლისათვის დაიწყო მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა იწარმოებს „სოიუზპეჩატის“ განყოფილებებში, სააგენტოებსა და ხელმოწერის პუნქტებში, საზოგადოებრივ გამავრცელებლებთან საწარმოებში, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე კავშირგაბმულობის უკლებლივ ყველა საქალაქო და სასოფლო განყოფილებაში და თბილისის ფოსტამტში.

ხელმოწერა მიიღება:

1. სოციალისტური ქვეყნების ჟურნალებზე — 1968 წლის 1 ნოემბრამდე; 2. საბჭოთა კავშირის ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე, აგრეთვე საზღვარგარეთის სხვა გამოცემებზე — 1968 წლის 25 ნოემბრამდე.

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ხელმოწერა გაფორმდება 1969 წლის თებერვლიდან და მომდევნო თვეებისათვის.

პრესის გავრცელების სამმართველო.

კომუნისტი
თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99.03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70. მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-34, განცხადებების — 93-93-96.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უფ 04205 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.